1. **განმარტეთ ლიტერარული და ვერბალური ხელშეკრულებები, მოიყვანეთ მაგალითები. (6)**

ვერბალურია ხელშეკრულება, რომელიც ვალდებულებას წარმოშობს სიტყვებით, წინასწარ განსაზღვრული ფრაზების წარმოთქმის მომენტიდან. ძირითადი ვერბალური ხელშეკრულებაა სტიპულაცია. სტიპულაციის დასადებად მომავალი კრედიტორი კითხვით მიმართავდა მომავალ მოვალეს, კითხვა-პასუხი ერთმანეთის შესაბამისი უნდა ყოფილიყო. აუცილებელი იყო მხარეების ერთ ადგილას ყოფნა. აგრეთვე სტიპულაცია მიუწვდომელი იყო ყრუსა და მუნჯისათვის. მოგვიანებით იმპერატორმა ლეონმა კონსტიტუცია გამოსცა, რომელმაც ამ ფორმულების ოფიციალურობა გააუქმა და ორივე მხარისგან მხოლოდ ნათელი და ურთიერთგასაგები ნების გამოვლენა მოითხოვა. სტიპულაციის წარმოშობილი ვალდებულება ცალმხრივი ვალდებულებაა და ამასთან აბსტრაქტულ ხასიათს ატარებს. სტიპულაცია შეიძლებოდა დადებულიყო გარკვეული პირობით ან ვადით. მისი საგანი შეიზლებოდა ყოფილიყო როგორც ნივთი, ასევე მოქმედების შესრულება ან მოქმედებისგან თავის შეკავება. შესაძლებელია აგრეთვე ხელშეკრულება დადებულიყო ორ სტიპულატორსა და პრომისორს შორის. გარდა სტიპულაციისა ვერბალურ ხელშეკრულებებს შეგვიძლია მივაკუთვნოთ 1) მზითევის მიცემის პირობა და 2) გააზატებულის ფიცით დადებული პირობა.

ლიტერარულად ითვლება წერილობითი ხელშეკრულება. თავდაპირველად იდებოდა წერილობითი კონტრაქტები წიგნში ჩაწერის გზით. ეს წიგნი რომის ოჯახის მამებს ჰქონდათ. ჩაწერა ხდებოდა მხარეთა შეთანხმებით. ამგვარ დოკუმენტს მტკიცებულების მნიშვნელობა ჰქონდა. კლასიკურ პერიოდში კიდევ დაკარგა მნიშვნელობა. მოგვიანებით შემოვიდა სავალო დამოკუმენტები: სინგრაფები და ხიროგრაფები. სინგრაფები იწერებოდა მესამე პირში და მას მხარეთა შემდეგ ხელს აწერდნენ მოწმეებიც. ხიროგრაფები კი იწერებოდა პირველ პირში და მას ხელს აწერდა მოვალე.

2. **დაახასიათეთ და ერთმანეთს შეადარეთ შენახვისა და ქირავნობის ხელშეკრულებები. (6)**

შენახვის ხელშეკრულების ძალით ერთი პირი (შემნახავი), რომელმაც მიიღო სხვა პირისგან (დეპონენტი) ნივთი შესანახად, კისრულობს ვალდებულებას შეინახოს და დაუზიანებლად დაუბრუნოს იგი. ნივთის შემნახველი არ ითვლება მოცემული ნივთის არც მესაკუთრედ და არც მფლობელად, არამედ მპყრობელად. როგორც წესი, შენახვის ხელშეკრულება იდებოდა ინდივიდუალურად განსაზღვრულ ნივთზე, თუმცა იყო გამონაკლისებიც. ნივთის განადგურებისას შემნახველი პასუხს აგებდა მხოლოდ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობის შემთხვევაში. მსუბუქი გაუფრთხილებლობის ან კაზუსის შემთხვევაში იგი პასუხს არ აგებდა, რადგანაც მოქმედებდა დეპონენტის ინტერესებში. ამრიგად, პასუხისმგებლობისაგან თავისუფალია ის პირი, რომელსაც ნივთზე ცუდი მეთვალყურეობის შედეგად ეს ნივთი მოპარეს, ვინაიდან იმ პირმა, რომელმაც ნივთი შესანახად დაუდევარ მეგობარს გადასცა, მისი დაკარგვა საკუთარ ქარაფშუტობას უნდა დააბრალოს. ნივთის შენახვის ხარჯები ეკისრება დეპონენტს. შენახვის ვალდებულება არის: რეალური, ორმხრივი, უსასყიდლო, ვადიანი ან უვადო. რომის სამართალი იცნობდა ასევე: 1) ნივთის შესანახად მიბარებას იძულებით (სტიქიური უბედურების, ხანძრის და სხვათა შემთხვევაში.) 2) ფულის ან სხვა გვარეობითი ნივთის შესანახად მიბარებას. როგორც წესი თუ ის შესანახად იყო მიბარებული, თუნდაც გვარეობითი ნიშნით განსაზღვრული, განიხილებოდა, როგორც ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული. (მაგ. ფული სკივრში იყო მოთავსებული.) თუ შესანახი ფული შემნახავის ფულს შეუერთდებოდა, მაშინ ეს უკანასკნელი ვალდებული იყო დაებრუნებინა არა იგივე ნივთი არამედ იმავე რაოდენობის.

ნივთის ქირავნობის ხელშეკრულების ძალით ერთი მხარე, გამქირავებელი, ვალდებულებას კისრულობს მეორე მხარეს, დამქირავებელს გადასცეს განსაზღვრული ნივთი დროებით სარგებლობისთვის. მეორე მხარე კიდევ კისრულობს ვალდებულებას

გადაიხადოს ამისთვის განსაზღვრული ღირებულება და მოგვიანებით დააბრუნოს ნივთი უვნებლად. ხელშეკრულების საგანი შეიძლებოდა ყოფილიყო როგორც მოძრავი ისე უძრავი ნივთი. მოძრავი ნივთებიდან მხოლოდ მოუხმარი ნივთები, რომლებიც მოხმარებისას არ ნადგურდება. ანაზღაურება ფულით ხდებოდა მაგრამ შეიძლება მიწის იჯარით აღების შემთხვევაში ნატურითაც განსაზღვრულიყო. გამქირავებელმა ნივთი უნდა გასცეს დროულად წინააღმდეგ შემთხვევაში დამქირავებელს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე. გაცემული ნივთი ვარგისი უნდა იყოს სარგებლობისთვის, თუ არ იძლეოდა საჭირო ეფექტს ნივთი გამქირავებელს უნდა აენაზღაურებინა დამქირავებლის ინტერესი. თუ ნივთს ნაკლი გააჩნდა დამქირავებელს შეეძლო უარის თქმა ხელშეკრულებაზე ან ნაკლები თანხის მოთხოვნა. თუ ნივთით სარგებლობა შეუძლებელი იყო (არა გამქირავებლის ბრალით) ის პასუხს არ აგებდა მაგრად ვერც ქირას მოითხოვდა დამქირავებლისაგან. დამქირავებელს ქირა დროულად უნდა გადაეხადა და ნივთი არ უნდა დაეზიანებინა ან გაენადგურებიმა. ამის გამო ის პასუხს აგებდა, მათ შორის თუ ეს ზიანი მსუბუქი გაუფრთხილებლობით მიადგა ნივთს. დამქირავებელს ნივთი დროულად უნდა დაებრუნებინა, სხვა შემთხვევაში პასუხს აგებდა. შეიძლებოდა ქვექირავნობის ხელშეკრულების დადებაც. ხელშეკრულების შეწყვეტა ხდებოდა: ერთ-ერთი მხარის ინიციატივით (თუ დამქირავებელი ბოროტად იყენებდა სარგებლობის უფლებას ან თუ ნივთი შეკეთებას საჭიროებდა.) და ვადის გასვლით. ნივთის ქირავნობის ხელშეკრულება არის: კონსესუალური, ორმხრივი, სასყიდლიანი, ვადიანი ან უვადო.

ქირავნობისა და შენახვის ხელშეკრულებები იმით გავს ერთმანეთს, რომ ორივე შემთხვევაში ნივთის ვადით ან უვადოთ გადაცემა ხდება ერთი პირიდან მეორე პირისათვის და მოგვიანებით უკან დაბრუნება. პირველ შემთხვევაში ინიციატორი არის დამქირავებელი, არის ორმხრივი, კონსენსუალური გარიგება და თანაც სასყიდლიანი. ხოლო შენახვისას კი ნივთის მეპატრონეა ინიციატორი ხელშეკრულების წარმოქმნის, ესაა რეალური, ორმხრივი და უსასყიდლო

ხელშეკრულება. ქირავნობისას ნივთის დაზიანებისას პასუხისმგებლობა მსუბუქი გაუფრთხილებლობისასაც კი დამქირავებელს ეკისრება. შენახვისას კი არა, ამას მეპატრონის ქარაფშუტობას მიაწერენ. ორივე ხელშეკრულების ბოლოს იმავე ნივთის უკან გადაცემა ხდება მეპატრონისათვის (გარდა ფულისა, თუ ის შეერევა შემნახველის ფულს.)

3. **შეადარეთ ერთმანეთს სესხისა და თხოვების ხელშეკრულებები. (6)**

თხოვების (ნათხოვრობის) ხელშეკრულების ძალით ერთი პირი მეორეს უთმობდა ნივთს უსასყიდლო სარგებლობისთვის. სარგებლობის შემდგომ უვნებლად და დაუზიანებლად უნდა დაებრუნებინა ნივთი პარტონისათვის. ნივთის დაზიანება/განადგურებაზე პასუხისმგებლობა ეკისრებოდა მთხოვნელს, მსუბუქი გაუფრთხილებლობისთვისაც. ის პასუხს არ აგებდა მხოლოდ კაზუსის შემთხვევაში. თუ ნათხოვარ ნივთს საზღვარგარეთ წაიღებს და გემი ჩაიძირება ნივთის უკან დაბრუნების ვალდებულება მაინც იარსებებს. როგორც წესი, ნივთები ინდივიდუალური ნიშნით არიან განსაზღვრული. მთხოვნელს ევალებოდა ნათხოვარი ნივთხის შენახვისათვის აუცილებელი ხარჯების გაღება (მონის ან პირუტყვის თხოვებისას). თხოვების ხელშეკრულება არის: რეალური, ორმხრივი, უსასყიდლო, ვადიანი ან უვადო. თხოვების ხელშეკრულების შემთხვევაში არ არის აუცილებელი რომ მთხოვნელმა გამოიჩინოს ისეთი გულმოდგინება, როგორსაც ის ზოგადად საკუთარი ნივთების დასაცავად იჩენს. თხოვებისას ის საკუთარი ინიციატივით მოქმედებს, შესაბამისად მაქსიმალური ყურადღება და გულმოდგინება უნდა გამოიჩინოს ნივთის შესანახად. თუ შენ ნივთს საკუთარი გადაწყვეტილებით საზღვარ გარეთ წაიღებ და ყაჩაღების თავდასხმის ან გემის ჩაძირვის შედეგად დაკარგავ, მისი უკან დაბრუნების ვალდებულება მაინც გეკისრება. და ნივთი ნათხოვრად იმ შემთხვევაში ითვლება, როდესაც ყოველდგვარი გასამრჯელოს მიღების გარეშე გადმოგცეს, რადგან უსასყიდლო ხელშეკრულების სახეა თხოვება.

სესხის ხელშეკრულების ძალით ერთი მხარე, გამსესხებელი, მეორე მხარეს, მსესხებელს, გადასცემს გარკვეული ხარისხის ღირებულების ნივთს საკუთრებაში. მსესხებელი ვალდებულია დააბრუნოს იგივე ხარისხის, ოდენობისა თუ ღირებულების ნივთები. ნივთის გადაცემის შემდგომ, მისი განადგურების შემთხვევაში პასუხს აგებს მსესხებელი. სესხის ხელშეკრულება არის: რეალური, ცალმხრივი, უსასყიდლო ან სასყიდლიანი (1-8%), გარკვეული ვადით დადებული ან უვადო. რეალური ვალდებულება წარმოიშობა, მაგალითად, სესხის მიცემით. სესხის ხელშეკრულებისას ჩვენ გაცემულ იმავე ნივთს კიარ გვიბრუნებენ, არამედ სხვას, ოღონდ იმავე სახისა და ხარისხის. ამ ხელშეკრულებიდან წარმოიშვება სარჩელი რომელსაც „კონდიქციო“ ეწოდება.

4. **რომის საზოგადოებრივი წყობილება რექსებისა და ადრეული რესპუბლიკის ხანაში? რას ნიშნავს ნობილიტეტი? (4)**

რომის საზოგადოების წარმომადგენლები იყვნენ: პატრიციები, კლიენტები და პლებეები.

პატრიციები, ანუ რომის სრულფასოვანი მოქალაქეები, იყვნენ მხოლოდ ისინი, ვინც ეკუთვნოდა ერთ-ერთ რომაულ კეთილშობილურ გვარს და ამა თუ იმ კურიაში ირიცხებოდა. პატრიციები წარმოშობილი უნდა იყვნენ ლათინთა და ეტრუსკთა წარჩინებულებისაგან. ერთ-ერთი გადმოცემის თანახმად პატრიცია აღნიშნავდა თავდაპირველად რომის გვარის სრულუფლებიან და ძირძველ წევრს.

რომში არსებობდა ასევე არასრულუფლებიანი წარჩინებული ხალხიც, მათ ეწოდებოდათ კლიენტები. ისინი სრულუფლებიან პატრიციებზე იყვნენ დამოკიდებული, ლათინურად ანუ პატრონებზე. მათ შორის მყარდებოდა შემდეგი ურთიერთობა. კლიენტი შედიოდა პატრონის მფარველობაში, მასთან ერთად უნდა ყოფილიყო ომში, მშვიდობის დროს, დახმარებოდა პატრონს შრომაში, პატივი ეცა მისთვის. ხოლო პატრონი მფარველობდა მას და იცავდა სასამართლოში. კლიენტს სასამართლოში გამოსვლის უფლება არ

ჰქონდა. მათ შორის ურთიერთობა ადათებით წესრიგდებოდა.

პლებეები იყვნენ როგორც წვრილი, ისე მსხვილი მიწათმფლობელები. მაგრამ ვერ უთანაბრდებოდნენ ვერც პატრიციებს და ვერც კლიენტებს. ისინი არ სარგებლობდნენ პოლიტიკური უფლებებით, დროთა განმავლობაში არ ჰქონდათ თანამდებობაზე დაჯდომის უფლება. მეცნიერთა ნაწილი თვლის პლებეებს რომში მოსულ მოსახლეობად, ზოგი ეტრუსკების შთამომავლებად, რომლებიც რომის მოქალაქეები გახდნენ.

ყველაზე მდიდარი პატრიციების შერევა ყველაზე მდიდარ პლებეებთან, ქმნის რომის მმართველი კლასის ზედაფენას-ნობილიტეტს.

5. სერვიუს ტულიუსის რეფორმები. (4)

სერვიუს ტულიუსი რომის მეექვსე რექსია. მისი რეფორმები მიზნად ისახავდა პატრიციებსა და პლებეებს შორის წინააღმდეგობის შერბილებას. მან გაატარა შემდეგი ღონისძიებები:

1) მთელი რომის მოსახლეობა, რათა წაეშალა ზღვარი პატრიციებსა და პლებეებს შორის, ქონებრივი ცენზის მიხედვით 6 ჯგუფად დაყო. პირველ ჯგუფში შედიოდნენ მოქალაქეები 100 000-ზე მეტი ქონებით და გამოჰყავდათ 80 ცენტურია. მეორე,მესამე და მეოთხე ჯგუფში მოქალაქეები 75,50,25 ათასზე მეტი ქონებით და გამოჰყავდათ 20 ცენტურია. მეხუთე ჯგუფში - 11 ათასზე მეტი ქონებით და გამოჰყავდათ 30 ცენტურია. მე-6 ჯგუფში ცხენოსნები და გამოჰყავდათ 18 ცენტურია და კიდე იყო 5 ცენტურია (2 ხელოსანი,2 მუსიკოსი და 1 პლორეტარების.) ცენტურია იყო სამხედრო,პოლიტიკური და საგადასახადო ერთეული. დაწესდა ცენტურიის სახალხო კრება (კომიცია ცენტურია).

2) სერვიუს ტულიუსმა აგრეთვე მთელი რომის ტერიტორია დაყო ტრიბებად,კერძოდ, დაარსდა 4 საქალაქო და 17 სასოფლო ტრიბა. და დაწესდა ტრიბის სახალხო კრება (კომიცია ტრიბიტა).

6. **თორმეტი ტაბულის კანონები, როგორც რომის სამართლის წყარო. (4)**

   რომიდან 10 კაცისაგან შემდგარი კომისია გაიგზავნა საბერძნეთში,ათენში,რათა სოლონის კანონმდებლობა შეესწავლათ. კომისიამ თავისი მისია შეასრულა,დაბრუნდა რომში და კანონთა 10 ტაბულა წარმოადგინა. ეს ტაბულები, გამოაკრეს საზოგადოების თავშეყრის ადგილზე. კანონთა ტექსტის გაცნობისას აღმოჩნდა რომ კანონები სრულყოფილი არ იყო და დამატებით კიდევ ორი დაფა შეიქმნა. კანონთა ძირითად წყაროს წარმოადგენდა ადათები. მას ვერ ვუწოდებთ კრებულს რადგანაც ერთ კონკრეტულ დარგს არ აწესრიგებს ნორმები. 12 ტაბულის სისტემა შეგვიძლია ასე წარმოვიდგინოთ: 1,2,3-ტაბულაში მოცემულია სამოქალაქო პროცესის საკითხები, 4,5-ეძღვნება საოჯახო და სამემკვიდრეო სამართალს, 6,7-სანივთო და ვალდებულებით სამართალს, 8,9-სისხლის სამართალს, 10-საკრალურ/საეკლესიო სამართალს, 11,12-წარმოადგენს დამატებებს.

7. **ჩამოთავლეთ და დაახასიათეთ პირთა სამი სტატუსი. რას ნიშნავს ტერმინი caput? (4)**

   კაპუტ ნიშნავს უფლებაუნარიანობას.
   1) თავისუფლების სტატუსი-სტატუს ლიბერტატის (თავისუფალი/არათავისუფალი)
   2) მოქალაქეობის სტატუსი-სტატუს ცივიტატის (რომის მოქალაქე/არარომაელი)
   3) საოჯახო სტატუსი-სტატუს ფამილიე (ოჯახის სრულუფლებიანი უფროსი/ ხელქვეითი)

8. **დაახასიათეთ რომის მოქალაქეთა ქმედუნარიანობა და მისი შეზღუდვის საფუძვლები. (4)**

   ქმედუნარიანობის მოთხოვნიდან გამომდინარე დიდი მნიშვნელობა

ენიჭებოდა ასაკსა და შერაცხადობის საკითხს. რომის სამართლის მიხედვით არაქმედუნარიანად ითვლებოდნენ 7 წლამდე ასაკის პირები. 7-14 წლამდე ასაკის პირებს ყიდვა-გაყიდვისა და ქონების შეძენის უფლება ჰქონდათ. 14-25 წლამდე კიდევ მიჩნეულები იყვნენ სრული ქმედუნარიანობის მქონე პირებად. რაც შეეხება შერაცხადობას, ეს გულისხმობს ისეთ მდგომარეობას როცა პირი ჯამრთელია და ანგარიშს უწევს თავის მოქმედებას. არაქმედუნარიანად ითვლებიან ჭკუასუსტები,გამფლანგველები,სულით ავადმყოფები,უპატიოსნო და უსირცხვილო ადამიანები და ზნედაცემულები. ქალები უფრო ნაკლები ქმედუნარიანობით სარგებლობენ კაცებთან შედარებით.

9. მეურვეობა და მზრუნველობა რომის სამართალში. (4)

რომში მშობლებს შეეძლოთ თავიანთი არასრულწლოვანი შვილებისათვის ანედრძით დაენიშნათ მეურვეები, ეს წესი ეხებოდა მამის გარდაცვალების შემდეგ დაბადებულ ბავშვებსაც. ანდერძით მეურვედ შეიძლებოდა დანიშნულიყო არამარტო ოჯახის მამა, არამედ შვილიც, ასევე საკუთარი მონაც, გააზატების შემდგომ. შეშლილი და 25 წელს მიუღწეველი პირი - გამოჯამრთელების ან 25 წლის შესრულების შემდგომ. მეურვის დანიშვნა შეიძლებოდა გარკვეული დროით ან პირობით. 12 ტაბულის კანონების თანახმად, თუ პირს მეურვე ანდერძით არ დაენიშნებოდა, მის მეურვეებად აგნატები გამოდიოდნენ. იგივე მოხდებოდა მაშინაც, თუ მეურვედ დანიშნული პირი მოანდერძის სიცოცხლეშივე გარდაიცვალა. მამები, თავისი ხელისუფლებისაგან განთავისუფლებული ბავშვების მეურვეებად განიხილებოდნენ. თუკი ვინმეს მეურვე საერთოდ არ ყავდა, მას კონსული,პრეტორი ან პლებსის ტრიბუნი უნიშნავდა. ობოლს (არასრულწლოვანს) მეურვის თანხმობა სჭირდება ზოგ საქმეში, ზოგში კი-არა. თუ ობოლს ვინმე რამეს აჩუქებს ან მიცემას დაჰპირდება თანხმობა არ არის საჭირო. თუ ობოლი სვას დაჰპირდება რამეს მაშინ საჭიროა, რადგან ობოლს თავისი მდგომარეობის გაუარესება მხოლოდ მეურვის თანხმობით შეუძლია. ობოლსა და

მეურვეს შორის სასამართლო დავისას ინიშნებოდა მზრუნველი პროცესის დასრულებამდე. მეურვეობა წყდებოდა: სრულწლოვანების მიღწევისას, თუ არასრულწლოვანს შვილად აიყვანდნენ, პირობით დანიშნული მეურვის ვადის გასვლით, მეურვის ან ობოლის გარდაცვალებისას, მეურვის მოქალაქეობის ან თავისუფლების დაკარგვისას, თუ მეურვე არასანდო პირად იქნებოდა მიჩნეული. მზრუნველებს იგივე მაგისტრატები ნიშნავდნენ, რომლებიც მეურვეებს. ანდერძით მზრუნველი არ ინიშნებოდა, ხოლო ასეთი ანდერძის არსებობისას ის პრეტორს უნდა დეკრეტით დაემტკიცებინა. მზრუნველი ენიშნებოდათ შეშლილებს,მფლანგველებს,(თუნდაც 25 წელ გადაცილებულები
ყოფილიყვნენ),გონებასუსტებს,ყრუებს,მუნჯებს და ქრონიკული სენით დაავადებულებს. მზრუნველი არასრულწლოვანს ენიშნებოდა იმ შემთხვევაში, თუ მეურვე მოვალეობას ვერ ასრულებდა, რადგან მეორე მეურვის დანიშვნა არ შეიძლებოდა.

10. ფორმულარული პროცესის ძირითადი ნიშნები. (4)

ფორმულარულ პროცესს სახელი დაუმკვიდრა პრეტორის ფორმულამ, რომელსაც ის გამოსცემდა პირველი სტადიის შემდეგ. ფორმულარულ პროცესში უნდა აღნიშნული ყოფილიყო:
iudicio nominatio-მოსამართლის დასახელება,რომელსაც საქმე უნდა განეხილა
intentio-მოსარჩელის პრეტენზიები
adiudicatio-მოსამართლისათვის უფლების მინიჭება-მიაკუთვნოს მოსარჩლეს საკუთრების უფლება.
condemnatio-მოსამართლისათვის მითითება პასუხისმგებლობის დაწესების ან მისგან განთავისუფლების თაობაზე
preascriptio-მითითება განსაკუთრებულ გარემოებაზე, რომელიც მოსამართლემ უნდა გაითვალისწინოს საქმის დასაწყისშივე
exceftio-მოპასუხის შესიტყვებათა გადმოცემა, ანუ ახალი ფაქტებისა და ახალი საბუთების შემოწმების აუცილებლობა, რომელთა აღმოჩენა და დადასტურება საქმეს სხვანაირად წარმართავდა.

ფორმულარული პროცესის დროს გამოიყენებოდა შემდეგი სარჩელები:
actiones in rem-სანივთო სარჩელები (უშუალოდ ნივთს უკავშირდებოდა). აქ მოსარჩელე მოითხოვდა ნივთზე უფლების აღიარებას.
actiones in personam-პირადი, ანუ პერსონალური სარჩელები. მოითხოვდა მოვალის პერსონასაგან ვალდებულების შესრულებას. შეიძლება აღიძრას მხოლოდ ვალდებული პირის წინააღმდეგ.
actiones rei persecutoriae-ნივთის ან ფულის უკან დაბრუნებას, გამოთხოვას გულისხმობს.
actiones poenales-მოპასუხის დასჯას, ქონებრივი სანქციის შეფარდებას გულისხმობს. (საჯარიმო სარჩელი.)
actiones private-კერძო სარჩელი, როდესაც უფლება უშუალოდ დაირღვეოდა მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა ამ სარჩელის აღძრა.
actiones populares-პოპულარული სარჩელი, შეიძლებოდა უფლებები არ დარღვეულიყო, მაგრამ პირს ეხელმძღვანელა ხალხის საერთო ინტერესებით.
actiones civiles-ცივილური სარჩელი, ეფუძნებოდა ცივილურ სამართალს.
actiones preatorie (honorarie)-პრეტორული სარჩელი, ეფუძნებოდა პრეტორის მიერ დადგენილ წესებს.
actiones stricti iuris-მკაცრი სამართლის სარჩელი.
aqtiones bona fidei-კეთილსინდისიერებაზე დამყარებული სარჩელი.
სარჩელთა ტიპიზაციის განხილვისას უნდა მივუთითოთ, რომ სარჩელები უცვლელი არ იყო, ისინი არც მკაცრი მათემატიკური ფორმულის სახით არ იყვნენ განსაზღვრული და შეიძლებოდა მათი შინაარსისა თუ ფორმულის შეცვლა. სარჩელის შედგენასა და სასამართლო განხილვაში აქტიურად მონაწილეობდნენ იურისტები. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ფორმულარული პროცესის შემოღებამ დიდად შეუწყო ხელი რომის იურისპრუდენციის განვითარებას.

11.ექსტრაორდინალური პროცესი. (4)

რესპუბლიკის ბოლო პერიოდში ჩაისახა ექსტრაორდინალური ანუ საგანგებო პროცესი. ექსტრაორდინალური პროცესი უცბად არ ჩამოყალიბებულა. ჯერ კიდევ კლასიკურ ეპოქაში ნორმალური სამოქალაქო პროცესის გვერდით, რომელიც ორ სტადიად იყოფოდა, გაჩნდა შემთხვევები, როცა მოქალაქეთა შორის დავის განხილვა დაიწყეს მაგისტრატებმა და არა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოებმა. როდესაც რომში შეუზღუდავი მონარქია მკვიდრდებოდა, ასეთმა ექსტრაორდინალურმა პროცესმა მთლიანად გამოდევნა ფორმალური პროცესი. იმპერატორის ხელისუფლება აღარ ენდობოდა არჩეულ მოსამართლეებს და თვითონ დაიწყო ბრძოლა სამართლის დამრღვევთა წინააღმდეგ, უშუალოდ ან თავისი მოხელეების მეშვეობით. აქ აღარ ვხვდებით ორ სტადიას და საქმეს თავიდან ბოლომდე განიხილავს მაგისტრანტი, რომლის გადაწყვეტილების გასაჩივრება, ანუ აპელაცია შესაძლებელია განსხვავებით ლეგისაქციური და ფორმულარული პროცესისაგან. ექსტრაორდინალური პროცესი აღარ ატარებდა საჯარო ხასიათს და მხოლოდ გადაწყვეტილება ცხადდებოდა საჯაროდ. დამკვიდრდა საქმის წერილობითი წარმოება. მხარეთა შეჯიბრობითობის პრინციპი. პრინცეპსი თავისი იმპერიუმებით უფლებას აძლევდა მოხელეებს განეხილათ საქმეები, ამ უფლებას ეწოდებოდა იუდექს დატუს. რომსა და კონსტანტინოპოლში ასეთი მოხელეები იყვნენ პრეფექტუს ურბი, ქალაქების პოლიციის უფროსები. პროვინციებში საქმეებს იხილავდნენ პროვინციის გამგებლები, ანუ რექტორები. ხშირად იმპერატორები უშუალოდ იხილავდნენ თავად ამა თუ იმ საქმეს. თითოეულ სასამართლოსთან იყვნენ საქმეების მომმზადებელი მოხელეები, ე.წ. ასსესორეს და კონსილარიი. არსებობდა მრავალი კანცელარია. თითოეულ სასამართლოსთან ყალიბდებოდა ადვოკატთა კორპორაციები. დაწესდა სასამართლო გადასახადებიც.

12. ლეგისაქციური პროცესი, სტადიებით. (4)

ლეგისაქციური პროცესი არის მოქალაქეთა შორის დავის გადაწყვეტის უძველესი წესი, უძველესი ფორმა. ლეგის აქციო

სახელწოდება გულისხმობდა, რომ მოსარჩელის საჯარო განცხადება, რომელიც მას მაგისტრატის წინაშე უნდა წარმოეთქვა, კანონთან ზუსტ შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო. ლეგისაქციური სარჩელები იყო:

Legisactio per sacramentum

ეს იყო სარჩელის ერთერთი ყველაზე გავრცელებული ფორმა. მხარეები ცხადდებოდნენ მაგისტრატის წინაშე, თან მიჰქონდათ სადაო ნივთი და სარიტუალო მახვილს ადებდნენ სადაო ნივთს. ამას ჯერ მოსარჩელე აკეთებდა და თან წარმოთქვამდა რიტუალით დადგენილ სიტყვებს. თუ მოპასუხე დუმდა ან ეთანხმებოდა სარჩელს მაშინ საქმე დამთავრებულად ითვლებოდა. თუ მოპასუხე იგივეს ამბობდა და აკეთებდა რასაც მოსარჩელე, მაშინ მაგისტრატი ორივე მხარეს ატოვებინებდა ნივთს და მოითხოვდა მათგან საკრამენტუმს - გარკვეული თანხის გირაოდ ჩადებას. მხარე, რომელსაც სასამართლო გაამტყუნებდა კარგავდა საკრამენტუმს. თავდაპირველად ეს თანხა ქურუმებთან, შემდგომში კი ხაზინაში ხვდებოდა.

Legisactio per manus iniectionem

ამ სარჩელით დავა ეხებოდა ვალის გადახდევინების წესებსა და პირობებს. მას შემდეგ რაც დებიტორი მაგისტრის წინაშე აღიარებდა ვალს და 30 დღის განმავლობაში არ დააბრუნებდა მას მაშინ კრედიტორს შეეძლო „ხელის დადებით" წაეყვანა თავისთან და მოვალე თვითონ ვეღარ დაიცავდა თავს, თუმცა სასამართლოში მის ნაცვლად გამოსვლა შეეძლო სხვა რომაელ მოქალაქეს ვინდექსს. (vindex) მოგვიანებით დეპიტორებსაც მიანიჭეს ეს უფლება.

Legisactio per pignoris capionem

ეს სარჩელი არიძვრებოდა მას შემდეგ, რაც კრედიტორი აიღებდა დებიტორის ნივთს და ვალის დაბრუნებამდე ფლობდა მას როგორც გირაოს.

Legisactio per iudicus postulationem

ეს სარჩელი ძირითადად გმაოიყენებოდა საერთო ქონების გაყოფის დროს და მოსამართლე ინიშნებოდა მხარეთა (მოსარჩელის)

მოთხოვნის მიხედვით.

Legisactio per condictionem
თუ მხარეები ვერ შეთანხმდებოდნენ, ისინი ერთობლივად ითხოვდნენ მოსამართლის დანიშვნას.

ლეგისაქციური პროცესის გამოყენების ბოლო ქრონოლოგიურ თარიღად მე-3 საუკუნე ფიქსირდება. რესპუბლიკის ხანაშივე ყალიბდება ფორმულარული პროცესი. ამის მიზეზია ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბება, რასაც ვერ პასუხობდა ლეგისაქციური პროცესი. აგრეთვე ეს უკანასკნელი მხოლოდ კვირიტებისთვის იყო ხელმისაწვდომი. ფორმულარული პროცესის მეშვეობით კი პერეგრინებსაც შეეძლოთ საკუთარი უფლებების დაცვა. ლეგისაქციური პროცესი ზედმეტი ფორმალიზმითა და რიტუალურობით მოუხერხებელი იყო.

13. ნივთების კლასიფიკაცია. (4)

რომაული სამართლის მიხედვით ნივთებს ეწოდებოდა რეს. ნივთების ყველაზე ძველი დაყოფის სახე იყო რეს მანციპი-ნიშნავდა ისეთ ნივთებს, რომლებშიც შედიოდა მიწები, ამ მიწებზე დასახლებული მონები, პირუტყვი და შენობები; და რეს ნეკ მანციპი-ყველა სხვა დანარჩენი ნივთი საოჯახო ნივთები, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, პირუტყვი, ფული და სხვ. ეს კატეგორია აღინიშნებოდა ტერმინით პეკუნია ანუ ქონება. რომის სამართალი იცნობდა ნივთების ისეთ დაყოფას, როგორიცაა: ნივთები, რომლებიც ამოღებულია სამოქალაქო ბრუნვიდან (res extra commercium,საწამლავი) და არ არის ამოღებული ბრუნვიდან (რეს ინ კომერციუმ). ცნობილია აგრეთვე ნივთების შემდეგი კლასიფიკაციაც: საერთო ნივთები (ჰაერი), სახელმწიფოს კუთვნილი ნივთები (ციხეები) და რელიგიური დანიშნულების ნივთები (ეკლესიები, სალოცავები) ცალკე გამოყოფენ წმინდა და საღმრთო ნივთებს. ნივთები აგრეთვე იყოფა რთულ (შენობა) და მარტივ ნივთებად (არ შედგებოდა სხვადასხვა

შემადგენელი ნაწილებისაგან), ასევე შედგენილ ანუ ერთობლივ ნივთებად (ϰოგი).

14. სერვიტუტის ცნება და სახეები. (4)

საკუთრების უფლების გარდა სანივთო უფლებებს მიეკუთვნება აგრეთვე უფლებები სხვის ნივთზე. ამ უფლებების ყველაზე მნიშვნელოვან კატეგორიას სერვიტუტები წარმოადგენდა. სერვიტუტები იყოფოდა სანივთო-საადგილმამულო და პირად სერვიტუტებად. სანივთო-საადგილმამულო კიდევ იყოფოდა სასოფლო და საქალაქო სერვიტუტებად. სოფლის მიწის ნაკვეთების უფლებებია გავლის, პირუტყვის გადენის,გზის და წყლის გაყვანის უფლებები. გზის უფლება თავისთავად პირუტყვის გადენის, ოთხთვალით გავლის უფლებას და სეირნობის უფლებას მოისაზრებს. ქალაქის მიწის ნაკვეთების სერვიტუტებს მიეკუთვნება ისეთი უფლებები რომლებიც შენობასთან არის დაკავშირებული. (მეზობლის სიძნელეების მოთმენა, კედელში კოჭის ჩადგმა და სხვ.) პირადი სერვიტუტის მაგალითია უზურფრუქტი. უზურფრუქტი არის სხვისი ნივთებით სარგებლობისა და შემოსავლის მიღების უფლება ამ ნივთების არსის სრული დაცვით.

15. შეადარეთ ერთმანეთს საკუთრების უფლების წარმოშობის თავდაპირველი და ნაწარმოები გზები. (4)

რომის სამართალში განასხვავებენ საკუთრების უფლების წარმოშობის თავდაპირველ და ნაწარმოებ გზებს. თავდაპირველი შეძენის დროს საკუთრების უფლება წარმოიშობა ხელახლა, იმის მიუხედავად, თუ მანამდე რა უფლება არსებობდა ნივთზე. ისეთი ნივთები იგულისხმება უპირველესად ვისაც მესაკუთრე არაყავს. ნაწარმოებია გზა, თუ საკუთრების უფლება ეფუძნება წინა მესაკუთრის უფლებას მოცემულ ნივთზე. საკუთრების უფლების წარმოშობის თავდაპირველი გზებია: ოკუპაციო-არავის საკუთრებაში მყოფი

ნივთი, იმის საკუთრება ვინც პირველი დაეპატრონება. მაგ: გარეული ცხოველი, ფრინველები, თევზები, ზღვის გამორიყული ნივთები, ზღვაში წარმოქმნილი კუნძული და ა.შ; ნაპოვარი- ძირითადად მიტოვებული ნივთები. ამ შემთვევაში საკუთრება მაშინვე წარმოიშვება თუ ნივთი არაღირებულია. თუ ძვირფასია იგულისხმება რო მეპატრონემ დაკარგა და მასზე საკუთრების პრეტენზია ქურდობას უტოლდება; განძი-მესაკუთრის დადგენა შეუძლებელია. საკუთარ მიწაში ნაპოვნი განძი მთლიანად მპოვნელს ეკუთვნის. სხვის მიწაზე პოვნისას განძის ნახევარი მას და ნახევარი მიწის მესაკუთრეს; ნამატი- ასეთ შემთხვევად შეგვიძლია განვიხილოთ ნაპირის მონალექი, ბუნებრივი მოვლენების შედეგად მიერთებული მიწის ნაკვეთი, კუნძული მდინარეში, სხვის მიწაზე შენობის აგება და სხვა; გადამუშავება-ახალი ნივთის შექმნისას საკუთრება წარმოიშვებოდა. თუ სხვის მასალით შეიქმნა ნივთი და უკან მასალას ვერ ვაბრუნებთ ნივთი შემოქმედს ეკუთვნის, თუ ვაბრუნებთ მასალას მაშინ მასალის მფლობელს; ხანდაზმულობა-უკანონო მაგრამ კეთილსინდისიერი მფლობელი რაღაცა პერიოდის გასვლის შემდეგ შეიძლებოდა გამხდარიყო უკანონო ნივთის მესაკუთრე, თუ კანონიერი მფლობელი ნივთს არ მოიკითხავდა. საკუთრების უფლების წარმოშობის ნაწარმოები გზებია: მანციპაცია-მხოლოდ რომის მოქალაქეებისთვის გათვალისწინებული ხერხი მარტო მანციპირებად ნივთებზე მოქმედებდა შესაბამისი რიტუალით; უფლების დათმობა- მოჩვენებითი სასამართლო პაექრობის ფორმა, როდესაც მოსარჩლის პრეტენზიაზე კანონიერი მფლობელი დუმდა და საკუთრების უფლება სხვა პირზე გადადიოდა ძველი ტრადიციის მიხედვით; გადაცემა-ამ გზით საკუთრების შესაძენად საჭირო იყო 1) ნივთის ფაქტობრივი გადაცემა და 2) სამართლებრივი საფუძველი. ახალ მესაკუთრეს არ ჰქონდა იმაზე მეტი უფლება ვიდრე ნივთის ყოფილ მესაკუთრეს.

16. ჩამოთვალეთ და განმარტეთ ვალდებულების წარმოშობის საფუძვლები. (4)

ვალდებულებას წარმოშობს:
1) ხელშეკრულება
(რეალური,ვერბალური,კონსენსუალური,ლიტერარული), ამ შემთხვევაში ვალდებულება წარმოიშვებოდა უშუალოდ ხელშეკრულების გაფორმების შედეგად. გამოყოფდნენ ცალმხრივ და ორმხრივ ხელშეკრულებებს. ცალკე არსებობდა ხელშეკრულების ნამდვილობის და შეწყვეტის პირობები.
2) კვაზი-ხელშეკრულება (სხვისი საქმეების წარმოება დაუვალებლად, მეურვეობიდან წარმოშობილი ვალდებულებები, ვალდებულება წარმოშობილი უსაფუძვლო გამდიდრებიდან, ვალდებულებები წარმოშობილი ამხანაგობის ხელშეკრულების გარეშე არსებული საერთო საკუთრებისგან), რომაელმა იურისტებმა გამოარჩიეს შემთხვევები, როდესაც ვალდებულება წარმოიშვებოდა, მაგრამ სახეზე არ იყო არც ხელშეკრულება და არც დელიქტი. ამასთან ვალდებულება წარმოიშვებოდა ისე, თითქოს ხელშეკრულებას ქონდა ადგილი. ასეთ შემთხვევებს მათ კვაზი ხელშეკრულებები უწოდეს.
3) დელიქტი (ფურტუმ, რაპინა, სხვისი ნივთების განადგურება-დაზიანება, ინიურია), დელიქტი სამართალდარღვევაა. რომის სამართალში განასხვავებდნენ კერძო და საჯარო ხასიათის სამართალდარღვევებს. სამართალდარღვევა რომელიც ხელყოფდა სახელმწიფო ინტერეებს საჯარო ხასიათს ატარებდა. მოგვიანებით წარმოიშვა კერძო სამართალდარღვევებიც. კერძოდ ითვლებოდა ისეთი სამართალდარღვევა, რომელიც ხელყოფდა ცალკეულ ადამიანთა, კერძო პირთა ინტერესებს.
4) კვაზი-დელიქტი. (მოსამართლის მიერ სასამართლო დავის კანონის დარღვევით გადაწყვეტა, საკუთარი ან ნაქირავები სახლიდან რაიმეს ჩამოვარდნის ან ჩამოღვრის შედეგად როდესაც მესამე პირი ზიანდება (მონის ან ბავშვის საქციელზეც პასუხს აგებს სახლის მეპატრონე.) აგრეთვე იმ ადგილზე რაიმეს ჩამოვარდნინას ან ჩამოღვრისას, რომელსაც ხალხი გზისთვის იყენებს (ზიანის მიყენების ან მიუყენებლობის შემთხვევაშიც.) ვაჟიშვილის წინააღმდეგ სარჩელი აღიძრება თუ ის მამისგან განცალკევებით ცხოვრობს და მისი ბინიდან რაიმე ჩამოვარდა ან ჩამოიღვარა. გემის მეპატრონე, მეფუნდუკე იმ განზრახ მიყენებული ზიანის ან ქურდობისათვის, რომელიც გემზე ან

ფუნდუკში ჩაიდინეს და მას უშუალოდ არ ეხებოდა.) კვაზი დელიქტი იყო იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზე არ იყო არც ხელშეკრულება და არც დელიქტისათვის დამახასიათებელი ნიშნები, მაგრამ ვალდებულება მაინც წარმოიშვებოდა ისე, თითქოს დელიქტს ქონდა ადგილი.
იურიდიული ფაქტი ეწოდება სამართლის ნორმით გათვალისწინებულ გარემოებას, რომლის არსებობასთან არის დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა. იურიდიული ფაქტი იყოფა ხდომილებად და მოქმედებად. ხდომილება წარმოიშობა ადამიანის ნების გარეშე და მისგან დამოუკიდებლად (ადამიანის გარდაცვალება, ვადის გასვლა.) მოქმედება კი ადამიანზეა დამოკიდებული, რომელიც შეიძლება იყოს არამართლზომიერი (ქურდობა) და მართლზომიერი (ხელშეკრულება). აგრეთვე ვალდებულების წარმოშობა იყოფა ცივილურ და ნატურალურ ვალდებულებად.

17. დაახასიათეთ და ერთმანეთს შეადარეთ დელიქტები და კვაზი დელიქტები. (4)

დელიქტი სამართალდარღვევაა. რომის სამართალში განასხვავებენ კერძო და საჯარო ხასიათის სამართალდარღვევებს. სამართალდარღვევა, რომელიც ხელყოფდა სახელმწიფო ინტერესებს საჯარო ხასიათს ატარებდა. ადრე ეს აღინიშნებოდა შემდეგი ტერმინით-iudicia publica, crimina. მოგვიანებით ჩაანაცვლა Delicta publica-მ. ამ ტერმინით გამოყოფდნენ კერძო სამართალდარღვევისგან. კერძო დელიქტად delicta privata ითვლებოდა ისეთი სამართალდარღვევა, რომელიც ხელყოფდა ცალკეულ ადამიანთა, კერძო პირთა ინტერესებს. მოგვიანებით სასჯელის განსაზღვრისას ყურადღება მიექცა გაუფრთხილებლობასა და განზრახვას. კერძო დელიქტებისთვის საბოლოოდ ჩამოყალიბდა შემდეგი მახასიათებელი ელემენტები-სახეზე უნდა ყოფილიყო: 1) ობიექტური ზიანი, კანონსაწინააღმდეგო გზით ერთმა პირმა რომ მიაყენა მეორეს. 2) დელიქტის ჩამდენი პირის ბრალი 3) მოქმედი სამართლის მიერ

მოცემული ქმედების ცნობა დელიქტად. ხელშეკრულებისგან განსხვავებით დელიქტური ვალდებულებები მემკვიდრეობით არ გადაიცემოდა. თუ ზიანი რამდენიმე პირის მიერ იყო მიყენებული, სახეზე იქნებოდა სოლიდარული პასუხისმგებლობა. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადად დადგენილი იყო ერთწლიანი ვადა, გადაცილებისას ითვლებოდა, რომ დამნაშავეს აპატიეს. დელიქტებში გამოიყოფა ცალკეული სამართალდარღვევათა სახეები: 1) ფურტუმ-ქურდობა (ქონებრივი უფლებების წინააღმდეგ მიმართული დელიქტი.) 2) რაპინა-ძარცვა 3) სხვისი ნივთების განადგურება-დაზიანება 4) ინიურია-შეურაცხყოფა, სხეულის დაზიანება, პირადი წყენინება და სხვა კანონსაწინააღმდეგო მოქმედებები.

კვაზი დელიქტი იყო იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზე არ იყო არც ხელშეკრულება და არც დელიქტისათვის დამახასიათებელი ნიშნები, მაგრამ ვალდებულება მაინც წარმოიშვებოდა ისე, თითქოს დელიქტს ჰქონდა ადგილი. კვაზი დელიქტის მაგალითებია: მოსამართლის მიერ სასამართლო დავის კანონის დარღვევით გადაწყვეტა, საკუთარი ან ნაქირავები სახლიდან რაიმეს ჩამოვარდნის ან ჩამოღვრის შედეგად როდესაც მესამე პირი ზიანდება (მონის ან ბავშვის საქციელზეც პასუხს აგებს სახლის მეპატრონე.) აგრეთვე იმ ადგილზე რაიმეს ჩამოვარდნინას ან ჩამოღვრისას, რომელსაც ხალხი გზისთვის იყენებს (ზიანის მიყენების ან მიუყენებლობის შემთხვევაშიც.) გემის მეპატრონე და მეფუნდუკეს, როდესაც კვაზი დელიქტიდან პასუხისმგებლობა წარმოეშვებოდა ფუნდუკში ან გემზე განზრახ ჩადენილი დანაშაულისთვის, რომლებთანაც ისინი უშუალოდ არ იყვნენ დაკავშირებულები და სხვ.

18. რას ნიშნავს ვალდებულების შესრულება (შინაარსი). (4)

იმისთვის, რომ ვალდებულება ჩათვლილიყო შესრულებულად, რამდენიმე გარემოებას ექცეოდა ყურადღება: 1) ვინ ასრულებდა მოვალეობას. მაგალითად: გადახდა შეეძლო მხოლოდ იმ პირს ვისაც შეეძლო საკუთარი მდგომარეობის გაუარესება (ჭკუასუსტი ვერ შეასრულებდა). 2) ვის წინაშე შესრულდა ვალდებულება. უნდა

შესრულებულიყო იმ პირის წინაშე ვისაც ამის უფლებამოსილება გააჩნდა. 3) შესრულება სავალდებულოა ვალდებულების შინაარსის შესაბამისად. მაგ: კრედიტორის თანხმობის გარეშე დებიტორი ნაწილ-ნაწილ ვერ შეასრულებს ვალდებულებას. 4) ვალდებულება უნდა შესრულდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში. თუ ვადა არაა განსაზღვრული დებიტორმა ვალდებულება კრედიტორის მოთხოვნისთანავე უნდა შეასრულოს. 5) მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ადგილს თუ სადაც უნდა შესრულდეს ვალდებულება. შესრულების ადგილად ითვლებოდა სარჩელის წაყენების ადგილი (მოვალის ადგილსამყოფელი). ან მხარეთა შეთანხმებით ქ. რომი.

19. დაახასიათეთ და ერთმანეთს შეადარეთ თხოვებისა და ნივთის ქირავნობის ხელშეკრულებები. (4)

თხოვების (ნათხოვრობის) ხელშეკრულების ძალით ერთი პირი მეორეს უთმობდა ნივთს უსასყიდლო სარგებლობისთვის. სარგებლობის შემდგომ უვნებლად და დაუზიანებლად უნდა დაებრუნებინა ნივთი პარტონისათვის. ნივთის დაზიანება/განადგურებაზე პასუხისმგებლობა ეკისრებოდა მთხოვნელს, მსუბუქი გაუფრთხილებლობისთვისაც. ის პასუხს არ აგებდა მხოლოდ კაზუსის შემთხვევაში. თუ ნათხოვარ ნივთს საზღვარგარეთ წაიღებს და გემი ჩაიძირება ნივთის უკან დაბრუნების ვალდებულება მაინც იარსებებს. როგორც წესი, ნივთები ინდივიდუალური ნიშნით არიან განსაზღვრული. მთხოვნელს ევალებოდა ნათხოვარი ნივთხის შენახვისათვის აუცილებელი ხარჯების გაღება (მონის ან პირუტყვის თხოვებისას). თხოვების ხელშეკრულება არის: რეალური, ორმხრივი, უსასყიდლო, ვადიანი ან უვადო. თხოვების ხელშეკრულების შემთხვევაში არ არის აუცილებელი რომ მთხოვნელმა გამოიჩინოს ისეთი გულმოდგინება, როგორსაც ის ზოგადად საკუთარი ნივთების დასაცავად იჩენს. თხოვებისას ის საკუთარი ინიციატივით მოქმედებს, შესაბამისად მაქსიმალური ყურადღება და გულმოდგინება უნდა გამოიჩინოს ნივთის შესანახად. თუ შენ ნივთს საკუთარი გადაწყვეტილებით

საზღვარ გარეთ წაიღებ და ყაჩაღების თავდასხმის ან გემის ჩაძირვის შედეგად დაკარგავ, მისი უკან დაბრუნების ვალდებულება მაინც გეკისრება. და ნივთი ნათხოვრად იმ შემთხვევაში ითვლება, როდესაც ყოველდგვარი გასამრჯელოს მიღების გარეშე გადმოგცეს, რადგან უსასყიდლო ხელშეკრულების სახეა თხოვება.

ნივთის ქირავნობის ხელშეკრულების ძალით ერთი მხარე, გამქირავებელი, ვალდებულებას კისრულობს მეორე მხარეს, დამქირავებელს გადასცეს განსაზღვრული ნივთი დროებით სარგებლობისთვის. მეორე მხარე კიდევ კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს ამისთვის განსაზღვრული ღირებულება და მოგვიანებით დააბრუნოს ნივთი უვნებლად. ხელშეკრულების საგანი შეიძლებოდა ყოფილიყო როგორც მოძრავი ისე უძრავი ნივთი. მოძრავი ნივთებიდან მხოლოდ მოუხმარი ნივთები, რომლებიც მოხმარებისას არ ნადგურდება. ანაზღაურება ფულით ხდებოდა მაგრამ შეიძლება მიწის იჯარით აღების შემთხვევაში ნატურითაც განსაზღვრულიყო. გამქირავებელმა ნივთი უნდა გასცეს დროულად წინააღმდეგ შემთხვევაში დამქირავებელს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე. გაცემული ნივთი ვარგისი უნდა იყოს სარგებლობისთვის, თუ არ იძლეოდა საჭირო ეფექტს ნივთი გამქირავებელს უნდა აენაზღაურებინა დამქირავებლის ინტერესი. თუ ნივთს ნაკლი გააჩნდა დამქირავებელს შეეძლო უარის თქმა ხელშეკრულებაზე ან ნაკლები თანხის მოთხოვნა. თუ ნივთით სარგებლობა შეუძლებელი იყო (არა გამქირავებლის ბრალით) ის პასუხს არ აგებდა მაგრად ვერც ქირას მოითხოვდა დამქირავებლისაგან. დამქირავებელს ქირა დროულად უნდა გადაეხადა და ნივთი არ უნდა დაეზიანებინა ან გაენადგურებიმა. ამის გამო ის პასუხს აგებდა, მათ შორის თუ ეს ზიანი მსუბუქი გაუფრთხილებლობით მიადგა ნივთს. დამქირავებელს ნივთი დროულად უნდა დაებრუნებინა, სხვა შემთხვევაში პასუხს აგებდა. შეიძლებოდა ქვექირავნობის ხელშეკრულების დადებაც. ხელშეკრულების შეწყვეტა ხდებოდა: ერთ-ერთი მხარის ინიციატივით (თუ დამქირავებელი ბოროტად იყენებდა სარგებლობის უფლებას ან თუ ნივთი შეკეთებას საჭიროებდა.) და ვადის გასვლით. ნივთის ქირავნობის ხელშეკრულება არის:

კონსესუალური, ორმხრივი, სასყიდლიანი, ვადიანი ან უვადო.

20. ჩამოთვალეთ და განმარტეთ ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებები. (4)

1) თავდებობა-პრომისორების მაგიერ ვალდებულებას, სხვები კისრულობენ, რომლებსაც ფიდეიუსორებს უწოდებენ. მათ კრედიტორები როგორც წესი იღებენ, რადგან ისინი ზრუნავენ, რომ უკეთესად იყვნენ უზრუნველყოფილნი. ფიდეიუსორი ყველა სახის ვალდებულებაში შეიძლება არსებობდეს-რეალურში, ვერბალურში, ლიტერარულში და კონსესუალურში. მას შეუძლია ვალდებულება მონის მაგიერაც იკისროს, გინდ მონის მესაკუთრე იყოს, გინდ გარეშე პირი. ფიდეიუსორი არა მარტო თავად იღებს ვალდებულებას, არამედ მემკვიდრესაც უტოვებს. მას შეუძლია წინაც უსწრებდეს ვალდებულებას და უკანაც მოსდევდეს მას. რამდენი ფიდეიუსორიც არ უნდა იყოს სახეზე ვალდებულება ყველა მათგანს მთელი მოცულობით ეკისრება. კრედიტორს ვალდებულების შესრულება შეუძლია ნებისმიერ მათგანს მოსთხოვოს. ვალდებულება ფიდეიუსორებს ისე არ უნდა დააკისრონ, რომ მათ იმ პირზე მეტი მართებდეთ, რომლის თავდებებიც არიან, მაგრამ შესაძლებელია ნაკლები თანხა დააკისროს მას კრედიტორმა. ეს ნეკლები/მეტი ეხება არა მარტო თანხას არამედ დროსაც. თუ ფიდეიუსორი მოვალის ნაცვლად გადაიხდის „დავალების“ სარჩელი ეძლევა მოვალის წინააღმდეგ.
2) ბე-თუ ბეს სახით რაიმე არ არის გადაცემული შესაძლებელია დაუსჯელად გარიგებაზე უარის თქმა. თუ ბე გადაცემულია, ნასყიდობის ხელშეკრულება გინდ წერილობითი ფორმით იყოს დადებულ და გინდაც ზეპირად, მხარე რომელმაც უარი თქვა ხელშეკრულებაზე, თუ იგი მყიდველია, მიცემულ ბეს კარგავს. ხოლო თუ გამყიდველი მან ორმაგი ბე უნდა დაუბრუნოს მყიდველს.
3) გირავნობა.

21. შეადარეთ ერთმანეთს რეალური და კონსენსუალური ხელშეკრულებები. მაგალითები. (4)

რეალური ხელშეკრულებებია: სესხის ხელშეკრულება, თხოვების ხელშეკრულება, შენახვისა და გირავნობის ხელშეკრულება. რეალური ხელშეკრულებების შემთხვევაში ხელშეკრულება უშუალოდ ნივთის გადაცემის მომენტიდან ითვლება წარმოშობილად.
სესხის ხელშეკრულებისას ერთი პირი მეორე პირს გადასცემს გარკვეული ხარისხის, ოდენობის, ღირებულების ნივთებს საკუთრებაში. ეს ნივთები ძირითადად გვარეობითი ნიშნით არის განსაზღვრული: სურსათ-სანოვაგე, ფული, ღვინო და სხვ. სესხის ხელშეკრულება არის ცალმხრივი, უსასყიდლო ან სასყიდლიანი და უვადო ან ვადიანი.
თხოვების ხელშეკრულების დრო ერთი პირი მეორე პირს უთმობს ნივთს უსასყიდლო სარგებლობისთვის. ამ შემთხვევაში ნივთები ინდივიდუალური ნიშნით არიან განსაზღვრული. გარკვეული დროის შემდეგ მთხოვებელმა ზუსტად ის ნივთი უნდა დააბრუნოს რაც ითხოვა. ნივთის დაზიანება/განადგურებისას მთხოვებელი აგებს პასუხს, გამონაკლისია მხოლოდ დაუძლეველი ძალა, რომელშიც მას ბრალი არ მიუძღვის. ეს ხელშეკრულება არის ორმხრივი ,უსასყიდლო, ვადიანი/უვადო.
შენახვის ხელშეკრულებისას ერთი პირი კისრულობს ვალდებულებას შეინახოს გარკვეული ნივთი და დაუზიანებლად დაუბრუნოს ის პატრონს. ამ ხელშეკრულებისას პასუხს ნივთის დაზიანება/განადგურებისას მსუბუქი გაუფრთხილებლობის შემთხვევაში არ აგებს შემნახავი. ეს არის ნივთის მეპატრონის ბრალი, რომ ასეთ პირს ანდო ნივთი. ეს ხელშეკრულება არის ორმხრივი,უსასყიდლო, ვადიანი/უვადო.
გირავნობის ხელშეკრულების ძალით დამგირავებელი მზადაა შეასრულოს ვალდებულება, ხოლო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევასი იგი დაკარგავდა დაგირავებულ ნივთს. ეს ხელშეკრულება არის ორმხრივი და ვადიანი.

კონსენსუალური ხელშეკრუბებებია: ყიდვა-გაყიდვის, ქირავნობის, დავალების, ამხანაგობის. კონსენსუალური ხელშეკრულების შემთხვევაში, ხელშეკრულების ნამდვილობისათვის საკმარისია უბრალო შეთანხმება, ყოველგვარი ფორმალობების გარეშე. არაა აუცილებელი სახეზე იყოს ნივთის უშუალო გადაცემა.
ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების ძალით ერთი მხარე-გამყიდველი იღებს ვალდებულებას გადასცეს მეორე მხარეს-მყიდველს საკუთრებაში ნივთი. მეორე მხარე კი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს გამყიდველს ნივთის ფასი. პასუხისმგებლობა ნივთის შემთხვევითი განადგურების ან დაზიანების შემთხვევასი, ხელშეკრულების დადების შემდგომ მყიდველზე გადადიოდა, დადებამდე გამყიდველს ეკისრებოდა. აგრეთვე ის აგებდა პასუხს იმ წუნზე, რომელიც ნივთს აღმოაჩნდებოდა. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება არის: კონსენსუალური, ორმხრივი, სასყიდლიანი, გარკვეული პირობით ან მის გარეშე.
ქირავნობის ხელშეკრულება მოიცავს ცალკე შემადგენელ ნაწილებს: ნივთის ქირავნობის ხელშეკრულება (იჯარა) , მომსახურეობისა (სამუშაო ძალის ქირავნობა) და ნარდობის ხელშეკრულება (მათ შორის გადაზიდვის). ქირავნობის ხელშეკრულებები არიან ორმხრივი, სასყიდლიანი, ვადიანი/უვადო. (ნარდობა მხოლოდ ვადიანი).
ამხანაგობის ხელშეკრულებით ორი ან რამდენიმე პირი ერთიანდება საერთო სამეურნეო მიზნის მისაღწევად. ისინი მონაწილეობენ საერთო საქმეში ქონებრივი შენატანით, ან პირადი მონაწილეობით. მოგება/ზარალი ნაწილდება ყველა ამხანაგს შორის. ხელშეკრულება შეიძლება დადებულიყო როგორც გარკვეული ვადით, ასევე უვადოთ.
დავალების ხელშეკრულების ძალით ერთი მხარე,რწმუნებული კისრულობს ვალდებულებას, მეორე მხარის, მარწმუნებლის დავალებით უსასყიდლოდ შეასრულოს რაიმე მოქმედება. თუ რწმუნებული ვერ ასრულებს მოქმედებას ვალდებულია ამის შესახებ შეატყობინოს მარწმუნებელს რათა მას ზიანი არ მიადგეს, თორემ აანაზღაურებს რწმუნებული. შესაძლებელია დავალების ხელშეკრულების შეწყვეტა რომელიმე მხარის უარით,გარდაცვალებით.

22. დაასახელეთ უსახელო ხელშეკრულებების სახეები, იუსტინიანეს მაგალითებიც. (4)

უსახელო კონტრაქტები (contractus innominanti)
1) do ut des-მე გადმოგცემ საკუთრებაში რაიმე ნივთს და სანაცვლოდ შენ გადმომცემ სხვა ნივთს საკუთრებაში.
2) do ut facias--მე გადმოგცემ საკუთრებაში რაიმე ნივთს და სანაცვლოდ შენ შეასრულებ რაიმე მოქმედებას.
3) facio ut des--მე შევასრულებ რაიმე მოქმედებას და სანაცვლოდ შენ გადმომცემ რაიმე ნივთს საკუთრებაში.
4) facio ut facias--მე შევასრულებ რაიმე მოქმედებას და შენ სანაცვლოდ შეასრულებ ჩემთვის განსაზღვრულ მოქმედებას.

ა) გაცვლილობის ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ნასყიდობის ხელშეკრულებისაგან განსხვავებით ნივთი იცვლება ნივთზე და არა ფულზე.
ბ) შეფასებითი ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ერთი მხარე გადასცემს ნივთს გასაყიდად, მეორე მხარეს წინასწარ განსაზღვრული ფასით, ხოლო მეორე მხარე ვალდებულია გაყიდვის შედეგად დააბრუნოს შეთანხმებული ფასი ან თუ ვერ გაყიდა დააბრუნოს ნივთი. ნამატი რჩება გამყიდველს.

23. კანონით მემკვიდრეთა თანმიმდევრობა იუსტინიანეს ნოველების მიხედვით. (4)

მე-6 საუკუნეში განისაზღვრა კანონით მემკვიდრეთა შემდეგი თანმიმდევრობა:
1) ქონების დამტოვებლის მშობლები, ბებიები და ბაბუაები და ა.შ ანუ დაღმავალი ხაზის სისხლის ნათესავები.
2) სამკვიდროს დამტოვებელი შვილები და შვილიშვილები და ა.შ ანუ აღმავალი ხაზის სისხლით ნათესავები, დები და ძმები, მათი

შვილები, არაღვიძლი და-ძმა, ანუ ერთი დედის ან ერთი მამის შვილები ან მათი შვილები.
3) კოგნატები-ანუ ნებისმიერი რანგის ნათესავები, ამასთან, ახლო ნათესავები უპირატესობით სარგებლობენ მემკვიდრეობის მიღებისას.
4) ცოცხლად დარჩენილი მეუღლე, მას უფლება ჰქონდა მიეღო დარჩენილი ქონების ¼ თუ იგი ღარიბი იყო.
არსებობდა უპატორნო ქონება, რომელიც არის ისეთი ქონება, რომელზეც უარი თქვა მემკვიდრემ.

24. კანონით მემკვიდრეთა კატეგორიები პრეტორული სამართლით. (4)

პრეტორმა კანონით მემკვიდრეთა შემდეგი კატეგორიები დაადგინა:
1) შვილები (liberi)-მიუხედავად იმისა იყვნენ თუ არა ისინი მამის ძალაუფლებაში. დატოვებული სამკვიდრო თანაბრად იყოფოდა შვილებს შორის. შვილის გარდაცვალების შემთხვევაში გარდაცვლილი შვილის ადგილს შვილიშვილი იჭერდა.
2) გარდაცვლილის სისხლით ნათესავები, ასევე გვარის წევრები, რომლებიც ძველი კანონების მიხედვით კანონიერ მემკვიდრეებად ითვლებოდნენ. ისინი მემკვიდრეობას ღებულობდნენ, თუ არ იყვნენ პირველი რიგის მემკვიდრეები.
3) გარდაცვლილის სხვა ნათესავები როგორც პირდაპირი, ისე გვერდითი ხაზისა მე-6 თაობის ჩათვლით. ისინი მემკვიდრეობას ღებულობდნენ მეორე რიგის მემკვიდრეთა არარსებობისას, კოგნატი.
4) ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს სამკვიდრო ეძლეოდა, თუ სახეზე არ იყვნენ წინა სამი რიგის მემკვიდრენი.
თუ ერთი რიგის მემკვიდრე არ იღებდა მემკვიდრეობას, ქონება უპატრონოდ კიარ ცხადდებოდა, მასზე პრეტენზიას აცხადებდა მომდევნო რიგის მემკვიდრე.

25.რას ნიშნავს Ius gentium და ius civile? (2)

იუს გენციუმ-არის ხალხთა სამართალი,ანუ ის სამართალი

რომელიც ბუნებითმა გონმა დააწესა ადამიანთა შორის და რომელსაც თანაბრად იცავს ყველა ხალხი. მისი განსხვავება ბუნებითი სამართლისაგან ადვილი გასაგებია, რადგან ეს უკანასკნელი საერთოა ყველა ცხოველისათვის,პირველი კი მხოლოდ ადამიანებისათვის.

იუს ცივილე-არის ის სამართალი, რომელიც ხალხმა დაადგინა საკუთარ სამართლად და წარმოადგენს რომელიმე კონკრეტული სახელმწიფოს საკუთარ სამართალს.

იუს კვირიტუმ-სამართალს რომლითაც რომაელი ხალხი სარგებლობს, ჩვენ ვუწოდებთ რომაელთა ცივილურ სამართალს. ე.ი. სამართალს რომელსაც კვირიტები იყენებენ, რადგან რომაელები კვირიტებად იწოდებიან.

26.რას ნიშნავს პრეტორული სამართალი? (2)

პრეტორების მიერ გამოცემულმა ედიქტებმა სამართლის ცალკე სახე-პრეტორული სამართალი შეადგინა-იუს პრაეტორიუმ. მათ „საპატიო სამართალსაც“ ვუწოდებთ-იუს ჰონორარიუმ.

27.შეადარეთ და განმარტეთ რას ნიშნავს ius publicum და ius privatum? (2)

იუს პუბლიკუმ-საჯარო სამართალი, იუს პრივატუმ-კერძო სამართალი. ულპიანეს მიხედვით კერძო სამართალი ეხება და არეგულირებს ცალკეულ პირთა ინტერესებს,ხოლო საჯარო სამართალი - რომის სახელმწიფოს. ამრიგად, რომის კერძო სამართალი წარმოადგენს იმ ნორმების ერთობლიობას, რომელიც კერძო პირთა, ანუ ცალკეულ მოქალაქეთა ინტერესებს იცავს და არეგულირებს მათ უფლება-მოვალეობებს. საჯარო სამართალი იმ ნორმების ერთობლიობაა, რომელიც იცავდა და არეგულირებდა საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესებს. (რელიგიური წესების დაცვა,ქურუმთა უფლება-მოვალეობების,მაგისტრატების საქმიანობის მოწესრიგება.)

28.რამდენი ნაწილისგან შედგება რომის კერძო სამართალი, ჩამონათვალი? (2)

ულპიანეს მიხედვით რომის კერძო სამართალი შედგება სამი ნაწილისაგან: ბუნებითი სამართალი, ხალხთა სამართალი და ცივილური სამართალი.

29.მუდმივი ედიქტი, როგორც რომის სამართლის წყარო. (2)

იმპერატორ ადრიანეს ინიციატივით 131 წელს კვესტორმა მოახდინა პრეტორის ედიქტების სისტემატიზაცია (კოდიფიკაცია). კოდიფიცირებული ტექსტი მოიწონა იმპერატორმა, ხოლო სენატმა ის უცვლელად გამოაცხადა. „მუდმივ ედიქტში" ასე უწოდეს კრებულს. შესწორებების გაკეთება მხოლოდ იმპერატორის პრეროგატივა იყო.

30.ცენზორის ძირითადი ფუნქციები. (2)

ცენზორის ძირითად მოვალეობებს შეადგენდა მოქალაქეთა განაწილება ცენტურიებსა და ტრიბებში-ქონებრივი ცენზის,ასაკისა და კლასობრივი კუთვნილების მიხედვით. ადგენდნენ სენატორთა სიებს, ახორციელებდნენ მეთვალყურეობას საზოგადოებრივ,საოჯახო და მორალურ წესრიგზე. ამ წესრიგთა დარღვევისათვის ცენზორებს გამოჰქონდათ საზოგადოებრივი გაკიცხვა. სამარცხვინო ქცევისთვის ადამიანები გადაჰყავდათ უფრო დაბალ ცენტურიასა თუ ტრიბაში. ისინი ხელმძღვანელობდნენ საფინანსო საკითხებსაც.

31. ჩამოთვალეთ მაგისტრატების დამახასიათებელი თვისებები. (2)

1) ვადიანობა, 2) უსასყიდლობა, 3) კოლეგიურობა, 4)

ანგარიშვალდებულება.

32. ჩამოთვალეთ სამი უმაღლესი ორგანო რექსების ხანაში, აღნიშნეთ რექსის ფუნქციები. (2)

კურიის კრება (კომიცია კურიატა),სენატი და რექსი. რექსი არის ტომის ბელადი,ჯარის წინამძღოლი,უმაღლესი მსაჯული და ქურუმი.

33. დაახასიათეთ ლათინებისა და პერეგრინების უფლებრივი მდგომარეობა. (2)

ლათინებად თავდაპირველად იწოდებოდა ლაციუმში მცხოვრები ხალხი. ისინი უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ ლაციმში და როცა დაიპყრეს მერეც განაგრძეს. მათ მიეცათ უფლება კომერცია ეწარმოებინათ და სასამართლოში თავიანთი სახელით გამოსულიყვნენ.მათ რომაელთან ქორწინების უფლებაც ჰქონდათ. მოგვიანებით მიიღეს მოქალაქეობა და გაქრნენ. მეორე კატეგორიის ლათინები რომის კოლონიებსა და პროვინციებში ცხოვრობდნენ. მათაც მიიღეს მოქალაქეობა, მაგრად არ ჰქონდათ რომაელთან ქორწინების უფლება. მესამე კატეგორიის ლათინებში შედიოდნენ გააზატებული პირები პოლიტიკურად უუფლებოები.

პერეგრინებს მიეკუთვნებიან რომის პროვინციებში ის მცხოვრებნი, რომელთაც არც ლათინთა უფლებები ჰქონდათ და არც მოქალაქეობა. ასეთები იყვნენ რომის მფლობელობაში მყოფ ტერიტორიაზე მცოხვრებნი რომლებმაც ქვეშევრდომობა არ მიიღეს ან დაისაჯნენ და რომიდან განიდევნენ.

34. დაასახელეთ რომაელი იურისტების მუშაობის ძირითადი მიმართულებები და დაახასიათეთ. (2)

1) კავერე- იურიდიულ მოქმედებათა შესატყვისი ფორმულების ჩამოყალიბება. ფორმულების შედგენის ფუნქცია.

2) რესპონდერე-იურიდიულ საკითხებზე მოქალაქეთათვის რჩევის,კონსულტაციის,ახსნა-განმარტებების მიცემა,იურიდიული ნორმის შინაარსის გარკვევის ფუნქცია.
3) აგერე-ამა თუ იმ მხარის ინტერესების დაცვის ფუნქცია.

35. ჩამოთვალეთ იმპერატორის კონსტიტუციის სახეები და განმარტეთ. (2)

1) ედიქტები-ანუ მთელი მოსახლეობისათვის საერთო სავალდებულო განკარგულებები. 2) რესკრიპტები-ცალკეულ საქმეებზე გამოცემული განკარგულებები. 3) მანდატები-ანუ იმპერატორის მიერ მოხელეებისათვის მიცემული დავალებები,ინსტრუქციები. 4) დეკრეტები-ანუ იმპერატორის გადაწყვეტილებები მასთან შესულ სადავო საქმეებზე.

36. ჩამოთვალეთ რომის სამართლის ძირითადი წყაროები. (2)

რომის სამართლის ძირითადი წყაროებია:
1) ადათი და ადათობრივი სამართალი-ადათი რომის სამართლის უძველეს წყაროს წარმოადგენდა. ადათები შერწყმული იყო რელიგიურ და მორალურ ნორმებთან.
2) კანონები-რომის სამართლის ძირითად წყაროს წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ პირველი კანონები სათავეს იღებს ძვ.წ-ით VI საუკუნიდან. კანონადაა აგრეთვე მიჩნეული სერვიუს ტულიუსის რეფორმები, რისთვისაც მან 50-მდე კანონი გამოსცა. რესპუბლიკის პერიოდში კანონებს სახალხო კრებები ღებულობდა. კანონს ეწოდებოდა leges.
3) მაგისტრატების ედიქტები-მაგისტრატების ედიქტებს კანონის ძალა ჰქონდა. ედიქტები ეწოდებოდა მაღალი თანამდებობის პირთა მიერ გამოცემულ საჯარო განცხადებებს, ბრძანებებსა თუ ინსტრუქციებს. რომში თანამდებობის პირთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო პრეტორის ედიქტები.

4) იურისტების მოღვაწეობა, კერძოდ, იურისტების ლიტერატურული, პრაქტიკული და მეცნიერული მემკვიდრეობა. რომაელი იურისტების მოღვაწეობა შემდეგი მიმართულებით ხორციელდებოდა: კავერე- იურიდიულ მოქმედებათა შესატყვისი ფორმულების ჩამოყალიბება. რესპონდერე-იურიდიულ საკითხებზე მოქალაქეთათვის კონსულტაციების მიცემა. აგერე- ამა თუ იმ მხარის ინტერესების დაცვის ფუნქცია.

37. Corpus Iuris Civilis-ის შემადგენლობა. (2)

1) ინსტიტუციები-სამართლის ელემენტარული სახელმძღვანელო,რომელიც გამოიყენებოდა იურიდიულ სასწავლებლბში სწავლების პირველ წელს. ინსტიტუციებს კანონის ძალა აქვს. მისი დანიშნულებაა სამართლის საფუძვლების შესწავლა არა მონათხრობის მიხედვით, არამედ ინსტიტუციებში ჩამოყალიბებული დებულებების საფუძველზე. ინსტიტუციები შედგება 4 ნაწილისაგან: სამართლის სუბიექტები,სანივთო სამართალი,ვალდებულებითი სამართალი,საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი.
2) დიგესტები, ანუ პანდექტები-რომაელ იურისტთა შრომებიდან ამოკრეფილი ფრაგმენტების კრებულია.მასში შეტანილია 40 რომაელი იურისტის შრომებიდან ამოკრეფილი ცალკეული გამონათქვამები და მოსაზრებები.თითოეული წიგნი იყოდა ტიტულებად,ანუ თავებად, ხოლო თავები-ფრაგმენტებად. ცნებების დიგესტებში შეტანისას კრებულის შემდგენს მიზნად დაუსახავს მათ შორის წინააღმდეგობა არ ყოფილიყო, მიუხედავად იმისა, რომ ერთსა და იმავე საკითხზე სხვადასხვა იურისტს სხვადასხვა აზრი ჰქონდა. დიგესტები ინკორპორაციის სახეს ატარებს.
3) იუსტინიანეს კოდექსი-კრებულის ამ ნაწილს ზოგი იმპერატორის განკარგულებებს უწოდებს,ზოგი კიდევ კონსტიტუციებს. იუსტინიანეს კოდექსი სულ 12 წიგნისაგან შედგებოდა. იუსტინიანეს კოდექსის პირველ წიგნში მოცემულია საეკლესიო სამართლის საკითხები,დანარჩენ წიგნებში კიდევ სამოქალაქო

სამართალის,სისხლის სამართალისა და სახელმწიფო მმართველობის საკითხები.
4) იუსტინიანეს კოდიფიკაციის მე-4 ნაწილს შეადგენს ნოველები. იუსტინიანემ მოახდინა სამართლის სხვადასხვა დარგის მოდერნიზაცია. კოდიფიკაციის იმ ნაწილს კიდევ სადაც დამატებები და სიახლეები შევიდა ნოველები ეწოდა.

38. ჩამოთვალეთ რომის მოქალაქეობის მიღების გზები. (2)

დაბადებით,გააზატებით,ნატურალიზაციით (ჩუქებით).

39. რა სახის ცვლილებები შეიძლება მომხდარიყო პირთა სტატუსში? (2)

პირთა სტატუსში ცვლილებას ეწოდება კაპიტუსი. შემდეგი ცვლილებები შეიძლებოდა მომხდარიყო: მაქსიმალური-თავისუფლების სტატუსში, საშუალო-მოქალაქეობის სტატუსში, მინიმალური-საოჯახო სტატუსში.

40. მონობის დამყარების გზები. (2)

დაბადებით მონობა,სამხედრო ტყვეობა,მონად გაყიდვა,მონად დასჯა.

41. ჩამოთვალეთ მონობის შეწყვეტის გზები. (2)

მონათმფლობელი საჯაროდ აცხადებდა მაგისტრის წინაშე მონის განთავისუფლებას,ბანოს შეჰყავდა 5წლიან აღრიცხვათა სიაში მოქალაქეთა ნაწილში,მონათმფლობელის ანდერძი სადაც ის გააზატებულად აცხადებდა მონას.

42. რას ნიშნავს პეკულიუმი? (2)

პეკულიუმი არის მონათმფლობელის ის ქონება, რომელიც სამართავად და სარგებლობის მოსატანად ჩაბარებული ჰქონდა მონას.

43. ჩამოთვალეთ ქორწინების პირობები. (2)

1) იუს კონუბიი
2) მხარეთა თანხმობა
3) ასაკი
4) არ უნდა ყოფილიყო სულით ავადმყოფი
5) მხარეები არ უნდა ყოფილიყვნენ ქორწინებაში
6) ნათესაური კავშირების არქონა
7) სენატორის შვილს არ შეეძლო გააზატებულზე და თეატრის მსახიობზე დაქორწინება
8) პროვინციის მაგისტრატის წარმომადგენელს არ შეეძლო პროვინციის მცოხვრებზე დაქორწინება
9) საქორწინო რიტუალი (ცოლის შეყვანა ქმრის სახლში).

44. დაახასიათეთ cum manum და sine manum ქორწინება. (2)

კუმ მანუ ქორწინების დროს ცოლი გადადიოდა ქმრის ხელისუფლებაში (ან ქმრის მამის ხელისუფლებაში თუ თავად ქმარი იყო მამაზე დამოკიდებული/მამის ხელიფულებაში.) და იყო შვილების მდგომარეობაში. თავდაპირველად ქმრის უფლება განუსაზღვრელი იყო, შემდგომ ცოლის მოკვლისა და გაყიდვის უფლება დაკარგა. ცოლის მთელი ქონება ქმრის ხელში გადადიოდა და განქორწინების შემთხვევაში ოჯახში შეტანილი ქონება უკან არ უბრუნდებოდა.

სინე მანუ ქორწინების დროს კი ცოლი რჩებოდა თავისი ოჯახის მამის დაქვემდებარებაში, ან რჩებოდა დამოუკიდებელ პირად, თუ ასეთი იყო გათხოვებამდე. ის იღებდა ქმრის წოდებას და მეუღლის

საცხოვრებელი ადგილი სავალდებულო იყო მისთვის. მეუღლეთა ქონება გაყოფილი იყო. ცოლის ქონების მართვა ქმარს მხოლოდ მისი თანხმობით შეეძლო. ცოლის შენაძენიც მის ქონებაში გადადიოდა.

45. ჩამოთვალეთ ქორწინების შეწყვეტის გზები. (2)

1) ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალება
2) ერთ-ერთი მეუღლის მიერ მოქალაქეობის ან თავისუფლების დაკარგვა
3) განქორწინება (ღალატი,მკვლელობის მცდელობა,სქესობრივი ცხოვრებისათვის უვარგისობა,მონასტერში აღკვეცა.)

46. ჩამოთვალეთ მამის ხელისუფლების შეწყვეტის გზები. (2)

1) მამის გარდაცვალებით
2) შვილის გარდაცვალებით
3) ოჯახის მამის მიერ თავისუფლების ან მოქალაქეობის დაკარგვის შემთხვევაში.
4) შვილის მიერ საპატიო თანამდებობის დაკავებით. (კონსული)
5) ემანსიპაციით (შვილის თანხმობით), ემანსიპაცია შესაძლო იყო: იმპერატორის რესკრიპტით, ოჯახის მამის განცხადებით, ხანგრძლივი ფაქტობრივი მდგომარეობით.

47. ჩამოთვალეთ მამის ხელისუფლების წარმოშობის გზები. (2)

1) კანონიერ ქორწინებაში შვილის დაბადებით
2) დაკანონებით
3) შვილად აყვანით

48. რას ნიშნავს კონკუბინატი? (2)

კანონით დაშვებული,ქალისა და მამაკაცის თანაცხოვრება,რომელიც კანონიერი ქორწინების მოთხოვნებს არ პასუხობდა. ხანგრძლივ,ფაქტობრივ თანაცხოვრებას.

49. დაახასიათეთ და ერთმანეთს შეადარეთ კერძო და პოპულარული სარჩელები. (2)

Actiones privatae-კერძო სარჩელი. მას წარმოადგენდა გარკვეული პირი და მას სარჩელის აღძვრის უფლება მხოლოდ მაშინ ჰქონდა, როდესაც მისი უფლება უშუალოდ დაირღვეოდა.
Actiones populares-პოპულარული სარჩელები. ამ სარჩელის აღძვრა შეეძლო ნებისმიერ პირს, რომლის უფლებაც არ იყო დარღვეული მაგრამ ის ხელმძღვანელობდა საერთო სახალხო ინტერესებით. (დაკიდებული ყვავილის ჩამოვარდნის საშიშროება.)

50. დაახასიათეთ in ius და in iudicum. (2)

Iudicia privata-კერძო პირების ურთიერთდავის პროცესი უძველესია, რომელიც შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოს წარმოშობამდეც კი არსებობდა. ის ორ სტადიას მოიცავს. Ius-იუს და iudicium-იუდიციუმ. ეს ორი სტადია ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია. ისინი არ შეადგენენ ერთი პროცესის ორ შემადგენელ საფეხურს, არამედ ცალკეული პროცესებია. რომაული იუს წარმოადგენდა საბოლოო სტადიას. აქ საქმე საბოლოოდ გადაწყვეტილად ითვლებოდა, თუ მოპასუხე სარჩელს ცნობდა. იუს არ წარმოადგენდა პირველ ინსტანციას, რომლის შედეგაც გრძელდებოდა პროცესი მეორე ინსტანციით. იგი საქმის განხილვის დამამთავრებელი ეტაპი იყო. რაც შეეხება მეორე სტადიას იუდიციუმ, ეს იყო დამაგვირგვინებელი

სტადია, რომლითაც მთავრდებოდა კერძო პირთა დავის საქმეები. ამ სტადიაზე ხდებოდა წინასწარ განხილული საქმეების, შეგროვილი მასალების საფუძვლიანობისა და კანონიერების შემოწმება, რაც მთავრდებოდა გადაწყვეტილების გამოტანით. ამ სტადიაზე ყურადღებით ისმენდნენ მხარეთა განცხადებებს, მწმეთა ჩვენებებს. ამ მასალებს მოსამართლე აფასებდა და გამოჰქონდა გადაწყვეტილება-სენტენცია. ინ იურე სტადიაზე თავდაპირველად კონსულები იხილავდნენ ამ საკითხებს, მოგვიანებით კი პრეტორების ხელში გადავიდა. რაც შეეხება ინ იუდიციოს მას განიხილავდა ერთპიროვნულად მოსამართლე. ხშირად მოქალაქეთა დავას არბიტრები (მედიატორები) წყვეტდნენ.

51. ჩამოთვალეთ მესაკუთრის უფლებამოსილებები. (2)

1) საკუთრების უფლება-ius utendi
2) ნაყოფით სარგებლობის უფლება-ius utendi fruendi
3) განკარგვის უფლება-ius abutendi
4) მფლობელობის უფლება-ius posidenti
5) გამოთხოვის უფლება-ius vindicandi

52. დაახასიათეთ კეთილსინდისიერი და არაკეთილსინდისიერი მფლობელობა. (2)

კეთილსინდისიერია ისეთი მფლობელი, რომელმაც არ იცის და არც შეიძლება იცოდეს, რომ არ აქვს ნივთზე მფლობელობის უფლება. მაგ: ქურდისგან როდესაც რაიმე ნივთს შევიძენთ. კეთილსინდისიერ მფლობელს აქვს შესაძლებლობა ხანდაზმულობის მეშვეობით, თუ გარკვეულ დროში კანონიერი ნივთის მფლობელი არ გამოითხოვს საკუთრებას, მოიპოვოს ნივთზე საკუთრების უფლება.

არაკეთილსინდისიერია ის არაკანონიერი მფლობელი, რომელმაც იცის, რომ ნივთი მისი არ არის, მაგრამ ექცევა ისე, როგორც საკუთარს. მაგ: ქურდი.

53. საკუთრების უფლების შეწყვეტის გზები. (2)

1) ნივთის განადგურება ფიზიკურად.
2) მესაკუთრის მიერ საკუთრებაზე უარის განცხადება.
3) მესაკუთრისთვის საკუთრების უფლების ჩამორთმევა, თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ. მაგ: კონფისკაცია.
4) ნივთის ამოღება სამოქალაქო ბრუნვიდან.
5) ხანდაზმულობით.

54. განმარტეთ უზუფრუქტი და ემფითევზისი. (2)

უზუფრუქტი არის სხვისი ნივთებით სარგებლობისა და შემოსავლის მიღების უფლება ამ ნივთების არსის სრული დაცვით. ემფითევზისი გულისხმობს: 1) მიწის ნაკვეთით სარგებლობას, 2) ნაყოფის მიღების უფლებას, 3) დაგირავების, მემკვიდრეობით გადაცემის ან გასხვისების უფლებას. (უნდა გააფრთხილონ მესაკუთრე რომელსაც აქვს უპირატესი შესყიდვის უფლება და გასაყიდი ფასის 2%-ის უფლება.)

55. რას გულისხმობს რეს მანციპი და რეს ნეკ მანციპი. (2)

რეს მანციპი-ეწოდებოდა ისეთ ნივთებს, რომლებშიც შედიოდა მიწები, ამ მიწებზე დასახლებული მონები, მიწის დასამუშავებლად განკუთვნილი პირუტყვი, ასევე შენობები.
რეს ნეკ მანციპი-ამ კატეგორიაში შედიოდა ყველა სხვა დანარჩენი ნივთი. მაგ: საოჯახო ნივთები, წვრილფეხა პირუტყვი, ფული და სხვ.

56. ჩამოთვალეთ და ერთმანეთს შეადარეთ სასოფლო და საქალაქო სერვიტუტები. (2)

სერვიტუტები იყოფოდა სანივთო-საადგილმამულო და პირად სერვიტუტებად. სანივთო-საადგილმამულო კიდევ იყოფოდა სასოფლო და საქალაქო სერვიტუტებად. სოფლის მიწის ნაკვეთების უფლებებია გავლის, პირუტყვის გადენის,გზის და წყლის გაყვანის უფლებები. გზის უფლება თავისთავად პირუტყვის გადენის, ოთხთვალით გავლის უფლებას და სეირნობის უფლებას მოისაზრებს. ქალაქის მიწის ნაკვეთების სერვიტუტებს მიეკუთვნება ისეთი უფლებები რომლებიც შენობასთან არის დაკავშირებული. (მეზობლის სიძნელეების მოთმენა, კედელში კოჭის ჩადგმა და სხვ.)

57. საკუთრების უფლების შინაარსი. (2)

საკუთრების უფლების შინაარსში გამოყოფენ: სარგებლობის უფლებას (ius utendi), ნაყოფით სარგებლობის უფლებას (ius utendi fruendi), განკარგვის უფლებას (ius abutendi), მფლობელობის უფლებას (ius posidenti) და გამოთხოვის უფლებას (ius vindicandi). საკუთრების უფლება განიმარტება როტორც სრული ბატონობა ნივთზე. რომაელი იურისტები ერთმანეთისაგან განასხვავებდნენ საკუთრებას (dominium), მფლობელობას (possessio) და პყრობას (detentio). მფლობელობის არსებობისათვის აუცილებელია ორი ელემენტის არსებობა: ფაქტობრივი ფლობა (corpus possessionis) და მფლობელობის ნება (animus possessionis). მფლობელობა გულისხმობდა ნივთის ფაქტობრივ ფლობას და მფლობელობის განზრახვას. მფლობელობის უფლება გააჩნდა მესაკუთრეს. განსხვავება მფლობელსა და მპყრობელს შორის იმაში მდგომარეობდა, რომ მფლობელი თავს უშუალოდ იცავდა, მპყრობელი კი მესაკუთრის მეშვეობით. მფლობელობა შეიძლებოდა ყოფილიყო კანონიერი და უკანონო. ხოლო არაკანონიერი შეიძლებოდა ყოფილიყო კეთილსინდისიერი (არამესაკუთრისგან შეძენა) და არაკეთილსინდისიერი (ქურდობა). კეთილსინდისიერი პყრობისას შესაძლებელი იყო ნივთზე

ხანდაზმულობით საკუთრების წარმოშობა. მას სარჩელიც იცავდა არაკეთილსინდისიერი გამყიდველისგან.

58. შეადარეთ ერთმანეთს მარტივი, რთული და ერთობლივი ნივთები. (2)

მარტივი იყო ისეთი ნივთები, რომლებიც არ შედგებოდა სხვადასხვა შემადგენელი ნაწილისაგან (მაგალითად: ქვა, მორი და სხვ.)
რთული ნივთები ისეთი ნივთები იყო, რომლებიც შედგებოდა სხვადასხვა ნაწილისაგან (მაგალითად: შენობა).
ერთობლივი ნივთები ანუ შედგენილი ნივთები ისეთი ნივთები იყო, რომლებიც შედგებოდა სხვადასხვა ნივთისაგან, მაგრამ არა როგორც ერთი ნივთი, არამედ როგორც ნივთთა ერთობლიობა (მაგ: ჯოგი).

59. ჩამოთვალეთ საკუთრების სახეები, რას ნიშნავს პრეტორული საკუთრების სახე? (2)

რომის სამართალში არსებობდა საკუთრების შემდეგი სახეები:
1) კვირიტული საკუთრება-რომში კერძო საკუთრების უძველეს სახეობას წარმოადგენდა. ცივილური სამართლის მიხედვით კვირიტული საკუთრების სუბიექტები რომის მოქალაქეები იყვნენ.
2) პროვინციული საკუთრება-რომაელთა მიერ დაპყრობილი მიწები, რომლებიც რომის სახელმწიფო საკუთრებად იყო მიჩნეული.
3) პერეგრინების საკუთრება-პერეგრინებს არ ჰქონდათ ძირძველი რომაელების თანაბარი საკუთრება. მაგრამ კომერციის განვითარების შემდეგ აუცილებელი გახდა მათი საკუთრების ცალკე სახედ გამოყოფა.
4) პრეტორული ანუ ბონიტარული საკუთრება-თუ პირი მანციპაციის წესის გვერდის ავლით შეიძენდა რეს მანციპი კატეგორიის ნივთს, მესაკუთრედ მაინც გამყიდველი რჩებოდა. პრეტორი მიუთითებდა, რომ ნივთი უნდა შესულიყო შემძენის ქონებაში, აქედან წარმოიშვაა ბონიტარული საკუთრება. თუ გამყიდველი მოითხოვდა გაყიდული

ნივთის უკან დაბრუნებას, პრეტორი აძლევდა მას შესაგებელს. ასეთ შემთხვევაში ნივთი დაუბრუნდებოდა მესაკუთრეს, თუ მას არ ქონდა იგი გაყიდული. მესამე პირებთან მიმართებაში კი პრეტორი აძლევდა სარჩელს-აქციო ინ რემ პუბლიკანა.

60. დაახასიათეთ ხანდაზმულობით საკუთრების უფლების შეძენა. (2)

უკანონო, მაგრამ კეთილსინდისიერი მფლობელი შეიძლებოდა გამხდარიყო ნივთის მესაკუთრე, თუ ნივთის უწინდელი მესაკუთრე განსაზღვრული ვადის განმავლობაში არ გამოითხოვდა უკანონო მფლობელისაგან ნივთს. მფლობელობითი ხანდაზმულობით პირი ხდება იმ ნივთის მესაკუთრე, რომელსაც ფაქტიურად ფლობდა კანონით განსაზღვრული ვადის განმავლობაში. აგრეთვე სახეზე უნდა ყოფილიყო კეთილსინდისიერი მფლობელობა გარკვეული დროის განმავლობაში. მიტაცებული ნივთი ვერასოდეს გახდებოდა ხანდაზმულობით ქურდის საკუთრება. ხანდაზმულობის ვადები დროთა განმავლობაში იცვლებოდა.

61. დაახასიათეთ სხეულებრივი და უსხეულო ნივთები. (2)

სხეულებრივია ნივთი, რომელსაც თავისი ბუნებრივი თვისებების გამო შეგვიძლია შევეხოთ. მაგ: მიწა, ოქრო, მონა.

უსხეულოა ნივთი, რომლის შეხებაც შეუძლებელია და არ გვძალუძს. ასეთ ნივთთა კატეგორიაში შედიან ისეთი ნივთები, რომლებიც უფლებას წარმოადგენენ. მაგ: მემკვიდრეობა, ვალდებულება და სხვ.

62. რას ნიშნავს ცალმხრივი და ორმხრივი ხელშეკრულება? მაგალითები. (2)

იმის მიხედვით, თუ ვის წარმოეშვება და როგორ ნაწილდება

ვალდებულება განასხვავებენ ცალმხრივ და ორმხრივ ხელშეკრულებებს. ცალმხრივი ხელშეკრულების მაგალითია სესხის ხელშეკრულება, როდესაც გამსესხებელს უფლება აქვს მოითხოვოს სესხის დაბრუნება და არავითარი ვალდებულება მას არ აკისრია. მსესხებელი კი ვალდებულია დააბრუნოს თანხა. ხოლო ორმხრივი ხელშეკრულების მაგალითია ქირავნობის ხელშეკრულება. გამქირავებელი ვალდებულია გადასცეს ნივთი დამქირავებელს დროებით სარგებლობაში. დამქირავებელი კი ვალდებულია გადაიხადოს ქირა და დააბრუნოს ნივთი ვადის გასვლის შემდგომ.

63. ჩამოთვალეთ ფსევდო ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულების სახეები. (2)

სხვისი საქმეების წარმოება დაუვალებლად(negotiorum gestio), ვალდებულებანი წარმოშობილი უსაფუძვლო გამდიდრებიდან (solution indebiti), მეურვეობიდან(tutela) წარმოშობილი ვალდებულებანი, ვალდებულებანი წარმოშობილი ამხანაგობის ხელშეკრულების გარეშე არსებული საერთო საკუთრებიდან.

64. განმარტეთ ტერმინები dolus manus, culpa, casus. (2)

Dolus manus-ბრალის ყველაზე მძიმე ფორმა, ზიანის განზრახ მიყენება. Culpa-ბრალის შედარებით მსუბუქი ფორმა, გაუფრთხილებლობა. მისი ორი სახე არსებობდა რომის სამართალში: Culpa levis-მსუბუქი გაუფრთხილებლობა და Culpa lata-უხეში გაუფრთხილებლობა. Cazus-კაზუსი, ხდომილობა, შემთხვევა.

65. ჩამოთვალეთ ქირავნობის ხელშეკრულების 3 სახე. (2)

1) ნივთის ქირავნობის ხელშეკრულება (იჯარა, მათ შორის საცხოვრებელი სახლის)
2) მომსახურეობის ხელშეკრულება (სამუშაო ძალის ქირავნობა)
3) ნარდობის ხელშეკრულება (მათ შორის გადაზიდვის)

66. რას ნიშნავს in iuria და რა საშუალებებს მოიცავს იგი. (2)

ინიურია ნიშნავს შეურაცხყოფას, სხეულის დაზიანებას, პირად წყენინებას და სხვა კანონსაწინააღმდეგო მოქმედებებს. ის მოიცავდა შემდეგ დანაშაულებს: ვინმეს მუშტით ან კეტით ცემა, გაშოლტვა, გალანძღვა, როდესაც ერთი მეორეს ქონებას ისე ეუფლება ვითომ ეს უკანასკნელი მისი მოვალეა, მაგრამ იცის, რომ არაფერი მართებთ მისი, თუ ვინმეს სახელის გასატეხად ლექსი დაწერეს და გამოსცეს, ოჯახის წევრის შევიწროვება, სხვისი მონის გაროზგვა, თავისუფალი პირისთვის ზიანის მიყენება და ა.შ.

67. განმარტეთ კრედიტორი და დებიტორი. (2)

მხარე, რომელსაც უფლება აქვს მოითხოვოს მეორე მხარისაგან გარკვეული ქმედების შესრულება, მოქმედებისგან თავის შეკავება ან იმ ნივთის/თანხის დაბრუნება რაც კანონით ეკუთვნის კრედიტორს დებიტორისგან.
დებიტორი-ვალის მქონე პირი, რომელიც ვალდებულია გარკვეული დროის განმავლობაში ნაკისრი ვალდებულება შეასრულოს, თავი შეიკავოს მოქმედებისაგან ან თანხა/ნივთი რაც მას მართებს დაუბრუნოს კრედიტორს.

68. ჩამოთვალეთ საჯარო დანაშაულთა ოთხი კატეგორია. (2)

1) სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაული-ღალატი, შეიარაღებული აჯანყების მოწყობა, ხაზინის გაქურდვა, არჩევნების

გაყალბება, ყალბი ფულის დამზადება და სხვა.
2) რელიგიის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული-საეკლესიო ქონების მოპარვა. იუსტინიანემდე დანაშაულად არ თვლიდნენ შემდეგს: ღვთის დაგმობა, შეურაცხყოფა და ეს ყველაფერი იმით იხსნებოდა, რომ ღმერთს თავად შეეძლო საკუთარი თავის დაცვა.
3) ადათ-წესების, ჩვევების და მორალის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული-ღალატი ან სხვის ცოლთან ცხოვრება, გაუთხოვარ ქალთან ცხოვრეა, სისხლის აღრევა, მლიქვნელობა, ჰომოსექსუალიზმი.
4) კერძო პირთა წინააღმდეგ მიმართული დანაშაული-მკვლელობა, ცეცხლის წაკიდება, დამონება, პროცენტის გაზრდა, ქურდობა. ეს ყველაფერი ისჯებოდა საჯარო წესით.

69. ჩამოთვალეთ ანდერძის ნამდვილობის პირობები. (2)

ანდერძით მემკვიდრეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნა იყო ანდერძში მემკვიდრის დასახელება, თუ ვის ეძლეოდა მემკვიდრეობა, ან ვის ნიშნავდა მემკვიდრეს ქონების დამტოვებელი. ანდერძით შესაძლებელი იყო მცირეწლოვანი შვილისთვის მზრუნველის დანიშვნა. მხოლოდ ეს არ იყო საკმარისი ანდერძის ნამდვილობისთვის. ნამდვილობისთვის საჭირო იყო ანდერძის დამტოვებლის ნორმალურ მდგომარეობაში ყოფნა. სულით ავადმყოფობის, გამფლანგველობის დროს ანდერძი არ ითვლებოდა ნამდვილად. ანდერძის ფორმა იყო როგორც წერილობითი ასევე სიტყვიერი. მისი ნამდვილობა 7 მოწმეს უნდა დაემოწმებინა. მემკვიდრეს მეანდერძე ტოვებდა, დაუშვებელი იყო მემკვიდრის შერჩევა სხვის მიერ ან შუალობითი მემკვიდრის დანიშვნა. მემკვიდრედ შეიძლებოდა დაენიშნათ ისეთი პირი, რომელიც უკვე დაიბადა ან ჩაისახა სამკვიდროს დამტოვებლის სიცოცხლეში. მემკვიდრე ვერ იქნებოდა სახელმწიფოს დამნაშავე და მისი მშობლები. გარკვეული დროის მანძილზე რომის სამართალი კრძალავდა გაუთხოვარი ან უცოლო პირებისთვის მემკვიდრეობის დატოვებას.

70. სავალდებულო წილი მემკვიდრეობაში. (2)

რომის სამართალი იცნობდა მემკვიდრეობაში სავალდებულო წილს. ამას ადგილი ჰქონდა მაშინ, როდესაც მოანდერძე თავის ქონებას სურვილის მიხედვით უტოვებდა არა კანონიერ მემკვიდრეებს, არამედ გარეშე პირებს. ასეთი ქმედება მორალურ მოვალეობათა დარღვევად მიიჩნეოდა. სასამართლო ასეთ ანდერძს უკანონოდ თვლიდა და აუქმებდა მას. რომის სამართალმა სავალდებულო წილის მიღების შესაძლებლობა ემანსიპირებულ შვილებსაც მიანიჭა. სავალდებულო წილის ოდნობა უდრიდა იმ წილის მეოთხედს, რაც უნდა მიეღო კანონით მემკვიდრეობისას. იუსტინიანეს კოდექსით, თუ კანონიერი მემკვიდრეობითი პირი ღებულობდა ქონების არანაკლებ მეოთხედს, სავალდებულო წილი შეადგენდა ამ წილის 1/3-ს. თუ კანონიერი მემკვიდრეობით პირი მიიღებდა მთელი ქონების ¼ -ზე ნაკლებს, სავალდებულო წილი იქნებოდა მისი ნახევარი. იუსტინიანეს კოდექსი ითვალისწინებდა სავალდებულო წილის გაუქმებასაც თუ კანონიერი მემკვიდრე საფრთხეს უქმნიდა ანდერძის დამტოვებლის სიცოცხლეს, თუ მოანდერძის ქალიშვილი 25 წლის ასაკში გათხოვდებოდა მამის უნებართვოთ და სხვ. არსებობდა სარჩელიც რომლის შეტანა შეეძლო კანონიერ მემკვიდრეს მცირე მოცულობის ანდერძის მიღების შემთხვევაში.

71. რას ნიშნავს უნივერსალური და სინგულარული მემკვიდრეობა? (2)

უნივერსალური იყო ისეთი მემკვიდრეობა, როდესაც მემკვიდრეზე გადადიოდა სამკვიდროს დამტოვებლის უფლებებიცა და დაკისრებული მოვალეობებიც.
სინგულარული მემკვიდრეობის ძალით მემკვიდრეზე გადადიოდა ცალკეული უფლებები. ასეთი იყო ლეგატი.

72. რას ნიშნავს ლეგატი? (2)

ლეგადა-ლეგატუმ ეწოდება მოანდერძის მერ გაცემულ განკარგულებას, მისი სიკვდილის შემდეგ გადაეცათ მისი ქონება ან ქონების ნაწილი ამა თუ იმ პირისათვის, ან შეესრულებინა მემკვიდრეს რაიმე მოქმედება ლეგატორის სასარგებლოდ. (მაგ: გადაეხადა თანხა).

73. რას ნიშნავს ფიდეოკომისია? (2)

ფიდეოკომისიები ეს იყო სამკვიდროს ქონების დამტოვებლის თხოვნა, მემკვიდრეობის მიმღებს შეესრულებინა რაიმე მოქმედება, გადაეცა ქონების ნაწილი ამა თუ იმ პირისთვის. მე-4 საუკუნეში ფიდეოკომისიები ლეგატს შეუერთდა.

74. ჩამოთვალეთ სასჯელთა სახეები. (2)

სასჯელთა სახეებიდან გამოირჩეოდა სიკვდილით დასჯა. სიკვდილით ისჯებოდნენ მძიმე სახელმწიფო, ზოგჯერ სხვა სახის დანაშაულებისთვისაც. დასჯა სხვადასხვა ხერხით ხორციელდებოდა. ჩვეულებრივ ხერხად ითვლებოდა მახვილით მკვლელობა. მშობლების მკვლელ შვილებს წინაპართა ჩვეულების მიხედვით შემდეგნაირად სჯიდნენ-აწამებდნენ მათ მანამდე, სანამ სისხლისგან არ დაიცლებოდნენ, ხოლო შემდეგ ტომარაში აგდებდნენ ძაღლთან, მამალთან, გველთან და მაიმუნთან ერთად. თავს მოუკრავდნენ და ზღვაში აგდებდნენ. რომაელი ქალის შეცდენისთვის გაროზგვა და სიკვდილით დასჯა გამოიყენებოდა. ვხვდებით სიკვდილით დასჯას ჩამოხრჩობით, მაღალი კლდიდან უფსკრულში გადაგდებით, ცეცხლზე დაწვით, ჯვარზე გაკვრით, წვალებით, მხეცებისათვის მიგდებით და სხვ.

სასჯელის ცალკე სახეს წარმოადგენდა მოკვეთა და გადასახლება. რესპუბლიკის პერიოდში დამნაშავე თავად ირჩევდა თუ სად გადაკარგულიყო გაძევებისას, რათა უფრო მძიმე სასჯელი აეცილებინა თავიდან. იმპერიის პერიოდში წესდება გადასახლება სამუდამოთ ან დროებით.
სხეულის დამაზიანებელი სასჯელები ფართოდ გამოიყენებოდა დაბალი კლასის წარმომადგენელთა მიერ ჩადენილი დანაშაულისას. ასეთ დროს გამოიყენებოდა როზგი, მათრახი, შოლტი.
სასჯელის ცალკე სახედ ითვლებოდა ჯარიმა. ეს ეკისრებოდათ როგორც დანაშაულის ასევე ბრძანების შეუსრულებლობისასაც. ხშირად გამოიყენებოდა ქონების კონფისკაცია და იმპერატორის ხაზინაში ჩარიცხვა.
ძველ რომში არ არსებობდა სისხლის სამართლის ერთიანი კოდექსი. მის მაგივრობას წევდა ცალკეული კანონები დანაშაულთა და სასჯელთა მოსაწესრიგებლად.

75. ჩამოთვალეთ საკუთრების სახეები. (2)

1) კვირიტული საკუთრება
2) პრეტორული ანუ ბონიტარული საკუთრება
3) პროვინციალური საკუთრება
4) პერეგრინების საკუთრება

By Achi Javakhishvili
Good luck!